93 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი—გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.

93 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №7-8 (7155) 6 აპრილი 2026 წელი

12 აპრილი — იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა

ქრისტე აღსდგა მკუდრეთით სიკუდილითა სიკუდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინა ცხოვრების მიმნიჭებელი (3 გზის).

აღდგომა—უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია, რომელიც აღინიშნება ქრისტეს მკვდრეთით აღდგომასთან დაკავშირებით. აღდგომას წინ უძღვის 40-დღიანი მარხვა, საეკლესიო სამზადისი, აღსარება და ზიარება, ვნების კვირა. ქრისტიანთათვის ესაა ზეიმთა ზეიმი, აღმნიშვნელი მესიის მოვლინებისა, რაზედაც მოსეს ხალხი ეგვიპტის მონობიდან თავის დაღწევის შემდეგ ოცნებობდა, რასაც ბიბლიური წინასწარმეტყველნი ქადაგებდნენ და რაც ჯვარცმული ქრისტეს სახით განხორციელდა.

თავდაპირველად მხოლოდ ვნების დღეებს ზეიმობდნენ. მხოლოდ IV საუკუნეში მიეცა აღდგომის დღესასწაულს თანამედროვე სახე. ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ 325 წელს დაადგინა ზეიმის აღნიშვნა გაზაფხულის ბუნიობის მომდევნო კვირას, იუდეველთა პასექის დასასრულს, უთუოდ მისგან განცალკევებით და კვირის ბოლოს. ამდენად, აღდგომა მოძრავი დღესასწაულია და მას წლევანდელ წელს მართლმადიდებელი ქრისტიანობა 12 აპრილს აღნიშნავს.

მართლმადიდებელი ქრისტიანები აღდგომიდან ამაღლებამდე ასე მიესალმებიან ერთმანეთს: „ქრისტე აღსდგა!—ჭეშმარიტად აღსდგა!“

ჩვენი ეპოქალური პატრიარქი...

ჭეშმარიტად ასეთი შეფასება ესადაგება ათწლეულების განმავლობაში საქართველოს ეკათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის მოღვაწეობას, რომელიც განუზომლად იყო გამოჩენილი და გაჯეჰებული „ღმერთის, სამშობლოს და ადამიანის" დიდი სიყვარულით.

გულწრფელად წუხს მისი გარდაცვალების გამო სრულიად საქართველო და არა მარტო...

დღემდე უწყვეტ ნაკადად მიდიან ადამიანები პატრიარქთან გამოსამშვიდობებლად.

☞2, 3, 4, 5

სულთათანა ☞6, 7

ჩვენი ეპოქალური პატრიარქი

2026 წლის 17 მარტს, 93 წლის ასაკში, ქ. თბილისში, კავკასიის მედიცინის ცენტრში გარდაიცვალა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

საქართველოს პატრიარქს, გარდაცვალების დღიდან (დაკრძალვის ჩათვლით), ექვსი დღე-ღამის განმავლობაში, ასიათასობით მოქალაქე გამოემშვიდობა, როგორც სამების საკათედრო ტაძარში, სადაც გარდაცვლილი პატრიარქი დაასვენეს, ისე სიონის ღვთისმშობლის მიძინების საპატრიარქო ტაძარში, სადაც პატრიარქი დაკრძალეს. არ წყდებოდა დამწუხრებულ ადამიანთა ნაკადი... ვის არ ნახავდით იქ—ქალსა თუ კაცს, მოხუცსა თუ ახალგაზრდას, მისგან განათლულსა თუ ჯერ კიდევ გაუნათლავს, ქართველსა თუ სხვა მრავალი ერის შვილს, ქრისტიანსა თუ მუსლიმს, სხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებს...

პატრიარქს გამოსამშვიდობებელი სიტყვებით მიმართეს: საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელებმა, „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა, მსოფლიოს მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქმა, ბართლომეოსმა, პატრიარქის მოსაყდრე მთავარეპისკოპოსმა შიომ.

პატრიარქთან გამოთხოვება კვლავ გრძელდება. სიონის ტაძარში ყოველდღე ტარდება მისი სულის მოსახსენიებელი პარაკლისები, მასთან გამოსამშვიდობებლად კვლავაც მიდიან ჩვენი მოქალაქეები, ქვეყანაში ჩამოსული ემიგრანტები, უცხოელები...

უდავოა, რომ ჩვენი პატრიარქისადმი გამოვლენილი ეს პატივგება, ამ საუკუნეში, გარდაცვლილისადმი სახალხო ზოგადსაკაცობრიო თაყვანისცემისა და სიყვარულის უპრეცედენტო მაგალითია.

ბართლომეოს I —მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქი

ბართლომეოს I-მა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს უწოდა „ღვთისმოსავი და თავმდაბალი, მლოცველი და ღვთისმსახურების მოყვარე, სასულიერო წოდების ღირსების მქონე, ძმათმოყვარე, მშვიდობისმყოფელი და შემრიგებელი, უშუალო და კეთილგანწყობილი ტკბილი ქცევითა და სიტყვით, მრავალმხრივ განსწავლული და უაღრესად კეთილშობილი, დახვეწილი და შემოქმედი ბუნების გამორჩეული ნიშნით ხატწერაში, ფერწერასა და მუსიკალურ შემოქმედებაში და ასევე, ხუროთმოძღვრებაში. მტკიცე და შეუვალი რწმენის, ღვთისმოსაობისა და ეკლესიის წმინდა ინტერესების დაცვაში, როგორც ქრისტეს მიბაძვის ჭეშმარიტი სახე და მოციქულთა და წმინდა მამათა ჭეშმარიტი მემკვიდრე“.

მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოს I-ის თქმით: განვლილი დროის ღირსეულ კათოლიკოსთაგან ვერავინ ისე ეს ვერ გააიგივა თავისი სახელი საქართველოსთან, ეკლესიასთან, ერთან, სახელმწიფოებრიობასთან, კავკასიის რეგიონში მშვიდობის მყოფელთან იმგვარად, როგორც პატრიარქმა ილია მეორემ:“იგი იყო ჭეშმარიტი სვეტი სიმტკიცისა, როგორც ეკლესიის, ისე თავისი სამშობლოსი, რომელთაც თანაბრად უნაწილებდა სიყვარულს, ერთგულებასა და ყოველდღიურ ზრუნვას. ქრისტეს და მისი ეკლესიის მსახურებას ადრეულ ასაკში მიუძღვნა თავი, როდესაც იდევნებოდა სარწმუნოება, როდესაც ათეიზმი კანონით იყო დამკვიდრებული და ძალადობრივად ბატონობდა. მან შეძლო შეენარჩუნებინა სიბრძნე, უმანკოება სახარებისეული სიტყვების მიხედვით, რომელიც გულმოდგინედ მოღვაწეობდა სათნოებასა და საღვთო მცნებების საქმით აღსრულებაში, იწვრთნებოდა, ვითარცა მორწმუნე მსახური ქრისტესი და მნე ღვთის საიდუმლოთა”...

გიხაროდეთ, რამეთუ ახლა თქვენი სულიერი მამა, პატრიარქი ილია მეორე ცოცხალთა სავანეშია განდიდებული. იმაზე უფრო მეტად ძლიერია, ვიდრე მაშინ, როდესაც იგი თქვენს შორის იყო. მას აქვს კადნიერება ღვთის საყდრის წინაშე თქვენთვის უმეტესი შემწეობისა და სიკეთის მომტანი. მაშ, მოწიწებით ეამბორეთ მის წმინდა მამობრივ მარჯვენას. გამოითხოვეთ მისი ლოცვა-კურთხევა და ჩვენთან ერთად გამოემშვიდობეთ მას. შესაძლოა, ერთი შეხედვით, ლიტურგიულად არათანმიმდევრულია, თუმცა ამ მწუხარებაში სიხარულიც სრულად შესაფერისია. მრავალხმიანი, ქუხილის მსგავსი, სიკვდილის განმაქარვებელი და სიხარულის ხმით სავსე:

„ქრისტე აღდგა! რომელს არს ჩვენის ყოვლის დიდება, პატივი და თაყვანისცემა და მადლიერება, ამინ!“

გამოსვენება წმ. სამების ტაძრიდან

ირაკლი შიოლაშვილი
1933-2026

ირაკლი სტუდენტობის პერიოდში

მამა—გიორგი ღუდუშაური-შიოლაშვილი
დედა—ნატალია კობაიძე

ილია II (ერისკაცობაში — ირაკლი გიორგის ძე ღუდუშაური-შიოლაშვილი; დაიბადა, 1933 წლის 4 იანვარს. ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე. უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი 1977 წლიდან გარდაცვალებამდე.

ილია II-მ დაამთავრა მოსკოვის სასულიერო აკადემია 1960 წელს. 1957 წელს ბერად აღიკვეცა და ილია ეწოდა; 1957 წლის 18 აპრილს სიონის საპატრიარქო ტაძარში ხელდასხმულ იქნა იეროდიაკვნად; 1959 წლის 10 მაისს წმიდა სერგის მონასტრის ლავრაში მღვდელმონაზვნად; სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დაინიშნა ბათუმის საკათედრო ტაძარში მღვდელმსახურად; 1960 წლის 19 დეკემბერს აღყვანილ იქნა იღუმენის, ხოლო 1961 წლის 16 სექტემბერს არქიმანდრიტის ხარისხში; 1963 წლის 26 აგვისტოს დაინიშნა კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად შემოქმედელი ეპისკოპოსის ტიტულით; 1963-1972 წლებში იყო მცხეთის სასულიერო სემინარიის პირველი რექტორი; 1967 წელს გადაყვანილ იქნა აფხაზეთის ეპარქიაში; 1969 წელს აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში; 1977 წლის 9 ნოემბერს დადგინდა პატრიარქის მოსაყდრედ.

1977 წლის 23 დეკემბერს არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად.

საფლავი სიონის საპატრიარქო ტაძარში

გვიყვარხარ პატრიარქო!

პატრიარქად აღსაყდრება. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია

თბილისში, 1977 წლის 23 დეკემბერს, გაიმართა მეთორმეტე საეკლესიო კრება, რომელსაც 47 დელეგატი ესწრებოდა. კრებას ასევე ესწრებოდნენ უცხოეთის ეკლესიათა წარმომადგენლები, სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი, ბულგარეთის ეკლესიიდან — არქიმანდრიტი ნაუმი, ალექსანდრიიდან — არქიმანდრიტი გრიგორიოსი.

კრებაზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩეულ იქნა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი) ილია II-ის სახელით.

1977 წლის 25 დეკემბერს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მოხდა ახლადარჩეული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრება. უწმინდესმა და უნეტარესმა სვეტიცხოველში წარმოთქმულ სიტყვაში განსაზღვრა საქართველოს ეკლესიის მომავალი, სამოქმედო გეგმა და დასძინა:

„მე შეგნებული მაქვს ის უმძიმესი და, ამავე დროს, საპატიო მოვალეობა, რომელიც დღეს, ღვთის ამ წმინდა ტაძრის თაღებქვეშ დამაკისრა მაღალმა ღმერთმა“.

საქართველოს ეკლესიამ კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მეთაურობით ზუსტად განსაზღვრა თავისი ისტორიული როლი და მისია ქართველი ერის ცხოვრებაში.

პატრიარქმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ეკლესიებში წირვა-ლოცვის სრულყოფილად ჩატარების პრობლემებს, მგალობელთა გუნდები შეივსო პერსპექტიული ახალგაზრდებით, წირვა-ლოცვების დროს დიდი ყურადღება დაეთმო საეკლესიო ქადაგებებს, რომელთა თემატიკა მრავალფეროვანი იყო და მოიცავდა ქართველი ერის ცხოვრების ყველა სფეროს. გააქტიურდა ურთიერთობა საზღვარგარეთის მართლმადიდებლურ ეკლესიებთან—„ქრისტიანთა სამშვიდობო კონფერენციასთან“ და „ევროპის ეკლესიათა კონფერენციასთან“.

1979 წელს ილია II არჩეულ იქნა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს თანაპრეზიდენტად.

საქართველოს ეკლესიის პირველმა თამამმა ნაბიჯებმა საზოგადოების დიდი ნაწილის მოწონება დაიმსახურა. მკვეთრად გაიზარდა მრევლის რაოდენობა. სიონის ტაძარი იქცა დისიდენტების თავშეყრის ადგილად, რამაც კომუნისტური ხელისუფლების უკმაყოფილება და შეშფოთება გამოიწვია.

1978 წელს დაარსდა ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, ხოლო 1980 წელს „საღვთისმეტყველო კრებული“. 1988 წელს გაიხსნა თბილისის სასულიერო აკადემია, ხოლო 1990 წელს გელათის აკადემია. ითარგმნა ბიბლია, დაიწყო ეკლესიის მამათა შრომების თანამედროვე ქართულ ენაზე გამოცემა, გამოიცა ლიტურგიკული და საღვთისმეტყველო წიგნები, გაიხსნა დაკეტილი ეკლესია-მონასტრები.

თუ საქართველოს ეკლესიის 15 ეპარქიიდან, ადრე, პრაქტიკულად, 4 ეპარქიას ჰყავდა თავისი მღვდელმთავარი, 1992 წლიდან ყველა ეპარქიას ჰყავდა მმართველი ეპისკოპოსი, მთავარეპისკოპოსი ან მიტროპოლიტი. პატრიარქმა თბილისის ეკლესიებში მყოფი მღვდელმთავრები თავიანთ ეპარქიებში განაწესა. თბილისის სიონსა და მცხეთის სვეტიცხოველში დიდი ზეიმით ხდებოდა ახალი მღვდელმთავრების კურთხევა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე

1917 წლის 12 (25) მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში შეკრებილმა ქართველმა სამღვდელოებამ საგანგებო საეკლესიო კრებაზე აღადგინა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია და კვლავ შემოიღო საპატრიარქო მმართველობა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტის ასლი საქართველოს ეროვნულ არქივში, პატრიარქ კირიონ II-ის პირად არქივში ინახება.

ამონარიდი აქტიდან:

„ამიერიდან აღდგენილად ჩაითვალოს საქართველოსა შინა ავტოკეფალური საეკლესიო მართველობაჲ, ხოლო ვიდრე კანონიერად აღირჩეოდეს კათალიკოსი საქართველოჲს ეკლესიისა, მოსაყდრედ მისა დაინიშნოს ყოვლადსამღვდელო ლეონიდე, გურია-სამეგრელოჲს ეპისკოპოსი, და მასთანი განსაგებლად ეკლესიისა, დაწესდეს მართველობაჲ საქართველოის ეკლესიისაი, სასულიეროთა და საეროთა პირთაგან შემდგარი“.

„ამა 1917 წლის მარტის 12 რიცხვი განსაკუთრებულ გრძნობას იწვევს ყოვლისმორწმუნე ქართველის გულში. 12 მარტს 1917 წელსა დღიდან დამოუკიდებლობის დაკარგვისა საქართველოს ეკლესიამ გადადგა პირველი გაბედული ნაბიჯი თვისის ავტოკეფალური უფლების მოსაპოებლად.

დილიდან საკათალიკოსო 12 მოციქულთა ტაძარში იწყო დენა ერმა და ბერმა, ქალმა და კაცმა, დიდმა და პატარამ. ამ დროს ყოველი იქ მყოფი რაღაც აღფრთოვანებული გრძნობით მოელოდა ეკლესიის სასარგებლოდ. იწყება წირვა, მაგრამ ეს წირვა განსხვავებულია სხვა წირვებიდან, რომლებიც ამ 100 წლის განმავლობაში სრულდებოდა; ქართველ მღვდელმთავართა და მრავალრიცხოვანი სამღვდელოების თანამსახურება სამი გუნდი მგალობელთა, არაჩვეულებრივი საქართველოს ეკლესიის მიხედვით სამოციქულოს და სახარების წაკითხვა ხალხისადმი მიქცევით, თავისუფალ ეკლესიაზე საუბარი მღვდელმთავარ ლეონიდესი... ნაწირვებს პარაკლისის გადახდა გალავანში, ოქმის შედგენა ხელის მოწერა იქ დამსწრეთა...“

„თეატრი და ცხოვრება“, 1917 წლის 19 მარტი (ახალ სტილით 1 აპრილი).

მარო თარხნიშვილის მოგონება:

„ამ დღისთვის მთელი ჩვენი ქართველი საზოგადოება დიდის მორწმუნეობით გაემგზავრნენ მცხეთაში, მრავალ საზოგადოებასთან ერთად ჩვენი ცნობილნი და დიდი მოღვაწენი, კომპოზიტორებიც. ზაქარია ფალიაშვილმა და დიმიტრი არაყიშვილმა გამომიგზავნეს ილიკო აბაშიძე (იმ წლებში კლასი მქონდა კონსერვატორიაში ხალხური სიმღერებისა). მთხოვეს მე და ჩემი და ეკატირინეც, ჩვენი ჯგუფიც აუცილებლათ მათთან ერთათ წავსულიყავით მცხეთაში. ჯერ უარი ვთქვი, რა უნდა გავაკეთოთ ნეტავი ჩვენ, მაგრამ უარი არ გამოვიდა. ილიკო აბაშიძემ მაინც დაგვიყოლია და დილის მატარებელზედ გავემგზავრეთ ჩვენი ჯგუფით. ჩასვლისთანავე გავემგზავრეთ სადგურიდან ფეხით. იმ დროს ძველი ხიდიც არსებობდა (კიდევ). უამრავი ხალხი მიაბნელებდა გზას. სპეციალური მატარებლები იყო დანიშნული.

უყურეთ საქართველოს მღვდელმთავრები როგორი გალობით დასტრიალებდნენ თავს, აცმევდნენ დიდებულ სამოსელს, რთამდნენ. ხელ-ფეხი დაბანეს. სადაც მირონი ამოდიოდა, შუა ეკლესიაში, წასცხეს მირონი შუბლზედ, გულზედ, ხელის გულებზედ და დაიწყო გასხივოსნებული წირვა. ჩემში ამ სანახაობამ ღრმათ დაუვიწყრათ აღბეჭდა ქრისტიანული საეკლესიო ცერემონიალი. წირვის დამთავრების შემდეგ ამორჩეული საზოგადოება გაგვამგზავრეს მონასტერში, სადაც ბევრი მოლოზნები დიასახლისობდნენ. დასხდნენ სუფრის კურ[თ]ხევის შემდეგ კირიონი და ყველა სამღვდელოება - მთავრები. მანამდის აკურთებდნენ სუფრა[ს], ყველანი ფეხ[ზ]ედ ვიდექით. სთხოვეს ჩვენს კომპოზიტორებს, რომ ჩვენ - დები თარხნიშვილები - ჩვენი ჯგუფით მათთან ერთად და დავსხედით. პირველი სადღეგრძელო კირიონისა; დავიწყე „მრავალჟამიერი“, მას მეორე სიმღერა გადავაბით: „შენ ხარ ვენახი“. იშვიათი მადლობით ზაქარია ფალიაშვილმაც და დიმიტრი არაყიშვილმაც ხელზედ კოცნით მე და ჩემ დას, ეკატირინეს, დიდი მადლობა გადაგვიხადეს. გვიან დავბრუნდით თბილისში იმავე ღამეს.

ეხლაც, როდესაც გამივლია მცხეთაში, არ შეიძლება, არ გამახსენდეს კირიონის კურთხევის ამბავი და მონასტერში სადილის პროცეს[ი]“

მოგონება დაცულია ეროვნულ არქივში, მარო თარხნიშვილის პირად ფონდში.

ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისათვის ისტორიულია 1990 წლის 3 მარტი. ამ დღეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია დაადასტურა კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ. კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს გადაეცა შესაბამისი სიგელები.

ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!

ჩვენი პატრიარქის დაუვიწყარი სტუმრობები...

ჩემი წინაპრების ღრმად ეკლესიურობის წყალობით და იმ რეალობით, რომ, სოფელ ბარდუბანში, მოქმედი იყო წმიდა დიდმოწამე ძმების დავით და კონსტანტინე მხეიძეების სახელობის სალოცავი, დაბადებიდან მალე—2 წლის ასაკში გავინათლე.

როგორც შემდგომ წლებში დავადგინე, იმ პერიოდში თუ დღევანდელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას ავიღებთ, გარდა ბარდუბნისა, სხვა მოქმედი სალოცავი არც ერთ სოფელში არ არსებობდა. ეს ფაქტი პირადად დამიდასტურა ჩემმა მეგობარმა, ისტორიკოსმა, საეკლესიო ცხოვრების შესანიშნავმა მკვლევარმა, ეროვნული არქივის დირექტორმა მერაბ კეზევაძემ.

მისივე თქმით, არსებული უმოქმედო ეკლესიებიდან ზოგი საერთოდ დახურული იყო, ზოგიც ნახევრად დანგრეული, ზოგიც კი კინოდარბაზებად ან საწყობებად გადაკეთებული. ჩვენს დედაეკლესიას ყველაფერი აკლდა შენობა-ნაგებობებიც, მოძღვრებიც და მრევლიც...

ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, რომ ადრეული ასაკიდან წლების განმავლობაში ვმუშაობდი სამრეწველო საწარმოებში, ასევე პარტიულ და საბჭოთა მაღალ თანამდებობებზე, მაგრამ არ ყოფილა არცერთი წელი, გარდა 1973-1975 წლებისა **(როცა საქართველოში არ ვიმყოფებოდი—დ.კ.)**, რომ სხვადასხვა საეკლესიო დღესასწაულების დროს, განსაკუთრებით შობას, აღდგომასა და მარიამობას, დაწესებული აკრძალვების მიუხედავად, არ ამენთო სანთლები ჩემს ეკლესიაში და არ მომენახულებინა გარდაცვლილთა საფლავები.

ჩემი რელიგიურობის ასე ღიად გამოხატვას, ალბათ ისიც უწყობდა ხელს, რომ გარკვეულ პერიოდში რელიგიური კულტის ხელშემწყობი კომისიის ხელმძღვანელიც ვიყავი ქუთაისის იმ რაიონში, სადაც ტერიტორიულად იყო განთავსებული ქუთაის-გაენათის ეპარქია.

დღესაც დიდი მოწიწებით ვიხსენებ და ვატარებ ვერცხლის ჯვარს, რომელიც ეპარქიის მაშინდელმა წინამძღოლმა მეუფე კალისტრატემ გადმომცა. ნათელი მის ხსოვნას!

გასული წლებიდან მოსაგონებელი, მოსათხრობი ჩვენს ეკლესიასთან, ჩვენს მართლმადიდებლობასთან და ჩვენს პატრიარქთან კავშირში არც თუ ცოტაა, მაგრამ ამჯერად მხოლოდ რამდენიმეს გაგაცნობთ...

2003 წელი.
ბაგრატის ტაძარი ჯერ ჯიდევ აღუდგენელია.

ქუთაისის გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქად გამოცხადების 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

მეამაყებოდა და დღესაც ვამაყობ, რომ 80-იან წლებში ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორის, აწ განსვენებულის, პროფესორ მიხეილ ნიკოლეიშვილის, პროფესორ ომარ ლანჩავას, ქუთაის-გელათის მუზეუმ ნაკრძალის დირექტორის რეზო ჯავახაძის მონაწილეობით მოვამზადეთ ქუთაისის აღმასრულებელი და პარტიული ხელისუფლების ერთობლივი დადგენილება ბაგრატის ტაძრისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ადაპტაცია-რეაბილიტაციის შესახებ, რომელიც მალევე დაიწყო და პროცესში აქტიურად ჩაერთო ათასობით მოხალისე, არამარტო ქუთაისიდან, არამედ მეზობელი რეგიონებიდან, სრულიად საქართველოდან.

მაშინ უზარმაზარი მოცულობის სამუშაოები შესრულდა. საკმარისია აღინიშნოს ბაგრატის ტაძრის ნანგრევები სამუშაოების დაწყებამდე საერთოდ არ ჩანდა ქალაქის ცენტრიდან. მხედველობას ზღუდავდა ათეულობით უნებართვო თუ ნებართვიანი შენობა-ნაგებობა, რომლებიც მთლიანად იქნა აღებული შესაბამისი კომპენსაციების გაცემის შემდეგ და ტაძარი, რომელიც მართალია მხოლოდ თავდაპირველის მხოლოდ აჩრდილი იყო დარჩენილი, მაინც მთელი თავისი დიდებულებით გაბრწყინდა მოქალაქეთა ხედვისთვის.

ასევე ვერ დავივიწყებ 1983 წელს, როცა მაშინდელი კომუნისტური რეჟიმის თაოსნობით, რაც ჩვენი პატრიარქის დიდი დამსახურება იყო, ქვეყანაში საერო ხელისუფლებამ დასვენების დღედ გამოაცხადა აღდგომის მეორე—მიცვალებულთა ხსენების დღე.

კარგად მახსოვს, რომ ამ თემაზეც მრავლისმომცველი დოკუმენტი მოვამზადეთ, რომელშიც ბევრი რამ ისეთი საინტერესო ღონისძიება იყო გაწერილი, რასაც ადრეულ წლებში ძნელად წარმოიდგენდით. აღარაფერს ვამბობ სასაფლაოების მასიურად დასუფთავებაზე, წარმოებადაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ხსოვნის წიგნების შემოღებასა და ხსოვნის საღამოებზე... უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ღონისძიება უნაკლოდ შესრულდა, იყო წარმოუდგენელი აქტივობა და ხალხმრავლობა...

სწორედ მაშინ, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაწილეობით, პირველად ჩატარდა დავით IV აღმაშენებლის ხსენების დღე—ქართველთა ამ სწორუპოვარი მეფის საფლავთან.



ბედნიერი ვარ, რომ იმ წლებში რამდენჯერმე გავხდი უწმინდესის და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის იმერეთში და ქუთაისში სტუმრობის მხილველი და მასთან მრევლის შეხვედრების მონაწილე.

„ღვთისმშობლობიდან ჯვართამაღლებამდე“

ჩემთვის განსაკუთრებული და დაუვიწყარია 1995 წლის და 2003 წლის ღვთისმშობლობა-ჯვართამაღლების დღეები (21-27 სექტემბერი), როცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი საგანგებოდ ჩამობრძანდა ქუთაისში, რომ მონაწილეობა მიეღო დავით აღმაშენებლის დიდებული ძეგლის გახსნაში და საქართველოს სატახტო ქალაქად ქუთაისის გამოცხადების 1000 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებებში...

გთავაზობთ ამონარიდებს პატრიარქის მიერ იმ დღეებში გაკეთებული განცხადებებიდან, რომლებიც დაიბეჭდა ჟურნალის ფორმატის სპეციალურ გამოცემაში სახელწოდებით „ღვთისმშობლობიდან ჯვართამაღლებამდე“. ჟურნალის ყდის პირველ გარეკანზე გამოსახულია გელათისა და ბაგრატის ტაძრები. სათაურთან ერთად გამორჩეულად იკითხება პატრიარქის ცნო- ☞5



ბაგრატის ტაძრის ისტორიული ნანგრევები ქალაქის ცენტრალური მოედნიდანაც გამოჩნდა, სადაც დავით აღმაშენებლის ძეგლი დაიდგა

4 ☜ ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!

ჩვენი პატრიარქის დაუვიწყარი სტუმრობები...



ბილი მოწოდება „ქართველნო ერთად ღვთისაკენ!“ ჟურნალის ბოლო გვერდზე კი გამოსახულია დავით აღმაშენებლის დიდებული ძეგლის (მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი) სურათი (ფოტოების ავტორი გ. გერსამია).

იმ დღეებში პატრიარქის მიერ გაკეთებულ განცხადებებში თქვენ კარგად დაინახავთ ჩვენი პატრიარქის შორსმჭვრეტელობას, სიბრძნეს, დიდ სურვილს თუ როგორ უნდოდა მას ერის და ბერის გაერთიანება, რომ ადამიანებს ყვარებოდათ ერთმანეთი, ღმერთი და სამშობლო.

„მეცნიერების ორივე კერა გააღრმავებს ჩვენს ერში რწმენას და ცოდნას“.

ვიდრე ამონარიდებს შემოგთავაზებთ აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ხუთი წლით ადრე, 1990 წელს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ქუთაისს საგანგებოდ ეწვია ღვთისმშობლობა-ჯვართამაღლების დღეებში. ეს ის პერიოდია, როცა ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმი ზეობდა, ქუთაისში კი იმ წყობისათვის უცხო და მიუღებელი ნაბიჯები გადაიდგა. კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გაიხსნა გელათის სასულიერო აკადემია. მაშინდელი სექტემბრის



დღეები მხოლოდ ამ ღირსახსოვარი მოვლენით არ შევიდა ისტორიაში—უნივერსიტეტის სტატუსი მიიღო აკ. წერეთლის სახელობის ქუთაისის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა.

პარტიარქმა ქუთაისის უნივერსიტეტში თქვა:

„ღვთივკურთხეულნო ივერნო! გილოცავთ ქუთაისის უნივერსიტეტის დაარსებას. ხვალ, ღვთისმშობლობას, გველოდება ახალი სიხარული—800 წლის დუმილის შემდეგ გაიხსნება გელათის სასულიერო აკადემია, მეცნიერების ორივე კერა ვფიქრობთ გააღრმავებს ჩვენს ერში რწმენასა და ცოდნას, დანერგავს ჩვენს ხალხში სიყვარულს, ურთიერთთანადგომას და მომავლის იმედს.

ღმერთმა დალოცოს ქუთაისის უნივერსიტეტი, გელათის აკადემია და სრულ იად საქართველო“.

ბრინჯაოში გცოცხლებული დავით აღმაშენებელი

1995 წელი, ქუთაისი.

21 სექტემბერს, ღვთისმშობლობა დღეს, სრულიად საქართველომ აღნიშნა გაერთიანებული საქართველოს სამეფოს პირველ სატახტო ქალაქად ქუთაისის აღზევების 1000 წლისთავი.

ამ დღეს, სრულიად საქართველომ ქუთაისში ძეგლი დაუდგა თავის უპირველეს მეფეს, დავით IV ბაგრატიონს, თავისივე ხალხის მიერ აღმაშენებლად სახელდებულს.

დღეს ათიათასობით კაცმა პირველად იხილა ბრინჯაოში გაცოცხლებული მეფე-მხედარი, სტრატეგოსი, პოეტი და ფილოსოფოსი, უბრალოდ—მეფე აღმაშენებელი, რომელსაც ცალ ხელში ხმალი უჭირავს (ჯვარსაც რომ განასახიერებს), მეორეში, მისსავე ხელდასმით აშენებული თავისი საძვალეს—გელათის ტაძრის მცირე ზომის ასლი.

ძეგლი დაუდგა საქართველომ თავის იმ მეფეს, რომელმაც განავრცო ქვეყანა ნიკოფსიით დარუბანდამდე და ოვსეთიდან არეგაწამდე.

ერის ძალა ერთობაშია!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა დავით აღმაშენებლის ძეგლის გახსნაზე ბრძანა: „ერის ძალა ერთობაშია, მადლობა ღმერთს, რომ ერი და ეკლესია დღეს ერთად არიან.

ეს არის ზეიმი არა მარტო ქუთაისის, არა მარტო იმერეთის, არამედ სრულიად საქართველოსი.

არსებობს ორი ძალა: ერთი ძალა კეთილი, გამაერთიანებელი, ღვთაებრივი, მეორე ბოროტი ძალა, და აი, ათასი წლის წინ, ამ კეთილმა ძალამ, ღვთაებრივმა გააერთიანა საქართველო და ქუთაისი გახადა საქართველოს სატახტო ქალაქი. და აი, ამას ზეიმობს დღეს სრულიად საქართველო.

დღეს, როცა ჩვენ ვუყურებთ ჩვენს მომავალს, ვფიქროთ მომავალზე, აუცილებლად უნდა დავსახოთ გეგმები, თუ როგორ უნდა გავერთიანდეთ.

სად არის ძალა შენი ერისა?—ერის ძალა ერთობაშია.

მადლობა ღმერთს, რომ ერი და ეკლესია დღეს ერთად არიან. ჩვენ ერთ საქმეს ვაკეთებთ.

ამ ორი დღის განმავლობაში გუშინ და გუშინწინ მცხეთაში შედგა ისტორიული კრება, ისტორიული იმ მხრივ, რომ დაკავშირებულია ქუთაისთან და იმერეთთან.

საეკლესიო კრებამ კანონიზირება გამოაცხადა წმინდანთა, ჩვენი დიდი მამულიშვილების კრებამ წმინდანად აღიარა უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია, როგორც სამშობლოსათვის თავდადებული პიროვნება. კრებამ წმინდანად შეარაცხა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი ლეჟავა, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე, ალექსანდრე ეპისკოპოსი (ოქროპირიძე), რომელიც იყო წმინდა ილია მართლის მოძღვარი, კანონიზირება გამოვაცხადეთ თევდორე მღვდლისა და ღირსი მამა ალექსი შუშანიასი და ჩვენი დიდი მოღვაწისა, რომელიც მოღვაწეობდა პოლონეთში, არქიმანდრიტი გრიგოლისა (ფერაძე), რომელიც ეწამა ფაშისტებისაგან. ეს არის უდიდესი ისტორიული მოვლენა. ამ 200 წლის მანძილზე არ ყოფილა ჩვენი ეკლესიის ისტორიაში წმინდანთა კანონიზირება, გარდა ილია მართლისა.

დავით აღმაშენებელი კი არის სიმბოლო ძლევამოსილებისა, უძლეველი ძალით დავით აღმაშენებელი შემობრძანდა ამ მოედანზე, სადაც ადრე იდგა ტაძარი. ასევე, დღეს არის ოფიციალური გახსნა გელათის მეცნიერებათა აკადემიისა. ეს არის უდიდესი მოვლენა საქართველოს ისტორიაში. მეცნიერებათა აკადემიის საშუალებით ერთმანეთს დაუკავშირდებიან მეცნიერება და რწმენა, მეცნიერება და ღვთისმეტყველება.

გულითადად გილოცავთ ყველას ამ დღესასწაულს. ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო!“

„ბაგრატის ტაძარი უნდა აღსდგეს“...

27 სექტემბერი, ჯვართამაღლების დღე ბაგრატის ტაძარსა და მის შემოგარენში...

ქართული საზოგადოებრიობა, იუბილის სტუმრები, ახალგაზრდა თაობა თითქოს ერთ სულ და ერთ ხორც ქცეულა... უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ კიდევ ერთხელ დალოცა ერი, უფალს შეავედრა მისი ხვალინდელი დღე. იყო მოგონება ამ ქვეყნიდან უდროოდ წასულთა... რეპრესირებულთა, კარგ ყმათა...

ზეიმობდა ერი და ბერი, სტუმარი და მასპინძელი...

10 წლის შემდეგ—2000 წელს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II კვლავ ეწვია იმერეთს. უწმინდესმა ზესტაფონში მოინახულა მიუსაფარ ბავშვთა პანსიონი, ტყიბულში აკურთხა ახალი ეკლესია, მოინახულა ქუთაისის ეკლესია-მონასტრები, ბაგრატის ტაძარზე კი ბრძანა:

„ბაგრატის ტაძარი უნდა აღსდგეს, ჩვენ თუ არ ავაშენებთ, მომავალი თაობა მაინც იზამს ამას და ბარემ ჩვენვე ავაშენოთ. ამაზე დიდი საქმე რა უნდა გავაკეთოთ!“

ამ განცხადების გაკეთების შემდეგ პატრიარქი მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქ ბართლომეოს პირველთან ერთად კვლავ ეწვია ბაგრატის ტაძარს. ხოლო 2012 წლის სექტებერში მან უკვე აღდგენილი საქართველოს ერთიანობის სიმბოლო—ბაგრატის ტაძარი საზეიმოდ აკურთხა.

დავით კლდიაშვილი,
ქუთაისის საპატიო მოქალაქე,
გაზეთ „თერჯოლას“ რედაქტორი

სულთათანა

მართლმადიდებლური აღდგომის მეორე დღე, მიცვალებულთა მოხსენიების, საფლავთა კურთხევის დღეა. ამ დღეს ვიგონებთ ჩვენს გარდაცვლილ ახლობლებს, მეგობრებს და არა მარტო მათ... ვიგონებთ და პატივს მივაგებთ ადამიანებს, ვინც გამორჩეული კვალი დატოვა ცხოვრებაში, ვინც ქვეყნის ერთგული კაციც იყო და მისი მეხოტბეც, ვინც დღემდე მოიტანა ჩვენი ენა, მამული და სარწმუნოება...

* * *

ტრადიციულად, სააღდგომოდ ვიხსენებთ იმ ადამიანებს, რომლებმაც თავი დაგვამახსოვრეს თავიანთი კეთილი საქმეებით, სამშობლოსადმი მსახურებით და რომლებიც არაერთხელ მოხვედრილან საზოგადოების ყურადღების არეალში, როგორც წარმატებული და გამორჩეული პიროვნებები, ახლა კი, მარადიულ სასუფეველში განისვენებენ. არდავიწყება მათ სახელებს...

კობა კერვალიშვილი

კობა კერვალიშვილის დედულეთი ზედა ალისუბანია, დედას, ლილი სახელაშვილს, იგი მშობლების სახლში ბებია-ბაბუასთან ხშირად დაჰყავდა, შეიყვარა და შეისისლხორცა კობამ სოფელი, გაიჩინა მეგობრები. მამა, ნოდარ კერვალიშვილი, შვილს ხშირად უყვებოდა მამულისათვის თავდადებულ ადამიანებზე, გმირობაზე, ვაჟკაცობაზე და გაიზარდა კიდეც ერისა და მამულის სიყვარულით.

ქუთაისის №12 საშუალო სკოლაში გამორჩეული იყო, წარმატებული ქუთაისის სპორტულ ლიცეუმში. დადიოდა კარატეს წრეზე, მიღებული აქვს მრავალი სიგელი და მედალი. იყო შავი ქამრის მფლობელი.

2003 წელს გაიწვიეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურში, საკუთარი გადაწყვეტილებით ჩაირიცხა კომანდოს ბატალიონში, პირნათლად ასრულებდა სამხედრო მოვალეობებს. 2004 წელს სოფელ ერედვში შეტაკების დროს სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა. იმავე წელს საქართველოს მთავრობის მიერ მიენიჭა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის გმირის წოდება. მოგვიანებით ქუთაისის ადგილობრივმა ხელისუფლებამ ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩას მიანიჭა კობა კერვალიშვილის სახელი.

კიკვიძის ძეგლთან, ქალბატონ ნინო ბურჯანაძის ინიციატივით, დაიდგა კობას ბიუსტი.

კობა კერვალიშვილის სახელს დავიწყება არ უწერია. იგი სრულიად ახალგაზრდა, 20 წლის ასაკში დაიღუპა. სამშობლოსათვის თავი გასწირა და სამარადისო დიდება მოიპოვა. ნათელი და სანთელი მის საფლავს.

დედულეთის თანატოლები

„სილამაზე გარდაიცვალა“ ლიანა ჩხიკვაძე

იგი შვენოდა ჩხარს, სადაც დაიბადა და გაიზარდა, შვენოდა ნავენახევს და ქუთაისს, სადაც მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა. ლიანა ჩხიკვაძე ადრე გარდაიცვალა, ძალიან ახალგაზრდა ასაკში. მაშინ პირველად გავიგონე სიტყვები „სილამაზე გარდაიცვალა“.

დიახ, ლამაზი იყო ლიანა. მინახავს იგი სრულიად ახალგაზრდა, მინახავს ბედნიერი შვილებთან, მეუღლესთან, ახლობლებთან ერთად, მინახავს ავადმყოფობისას, მასთან მებრძოლი, ტანჯული, მაგრამ სულით ძლიერი. მახსოვს მამიდაჩემი ნადია ცხადაძე-ჩხიკვაძისა, სულის სიღრმემდე შეძრწუნებული შვილის ავადმყოფობის გამო და შვილები: მანანა, გოჩა, იორამ აბულაძეები, მცირეწლოვანები, მაგრამ გათვითცნობიერებული რომ ჰქონდათ რა ხდებოდა და ისიც, რა იყო მოსალოდნელი.

და დადგა ჟამი მშვენიერი ქალის გარდაცვალებისა, უფალმა მიიბარა მისი სული, სხეული კი ნავენახევის მიწამ ჩაიკრა გულში. ძნელი აღმოჩნდა უდედობა, კი არაფერი მოკლებიათ, მაგრამ დედის მზრუნველი ხელი, მისი სითბო და სიყვარული სჭირდებოდათ შვილებს.

სადაც არ უნდა წასულიყვნენ—ჩხარში ბებიასთან, ნავენახევში თუ ქუთაისში, ყველგან დედის გადიდებული სურათი ხვდებოდათ და კრძალვით შესცქეროდნენ და დაიზარდნენ... თითქოს მოშუშდა იარა, ცხოვრება გაგრძელდა, მაგრამ ლიანას შუათანა—გოჩა გარდაიცვალა. კვლავ მწუხარებამ დაისადგურა, არა მარტო გოჩას ოჯახში...

ბავშვობიდან ტვირთი დააწვა უმცროსს—იორამს. ბევრ წარმატებას მიაღწია, არის ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი. ჩხარში, მისი ინიციატივით და დაფინანსებით დაიდგა ძეგლი „დედის ლოცვა“. იგი არ მიუძღვნია იორამს მარტო დედის ხსოვნისათვის, მიუძღვნა ყველა დედას, ცხადია ლიანა ჩხიკვაძესაც. სწორედ ამ ძეგლის დადგმის გამო, სხვა მრავალი ქველმოქმედების განხორციელებისათვის მიენიჭა იორამ აბულაძეს თერჯოლის საპატიო მოქალაქეობა.

ნათელი ადგას და ხარობს ალბათ ახლა ლიანა ჩხიკვაძის სული, იორამის წარმატებით, მანანას, გოჩას, იორამის შვილ-შვილიშვილებით, მათი კარგად ყოფნით. წლებია სანთელ-საკმეველი არ მოკლებია ლიანა ჩხიკვაძის საფლავს, არც მოაკლდება, ახლა მეუღლე—გივი აბულაძეც მის გვერდითაა—ნათელი დაადგეთ.

ლიანას, გოჩას, გივის საფლავებთან მისასვლელ ბილიკზე ბალახი არასოდეს ამოვა, მათი მარადიული დარაჯი კი იქნება სასაფლაოს გარინდება და სიჩუმე...

ჟუჟუნა ცხადაძე

მანანა შურღაია

პირველად აღინიშნა 11 თებერვალი მანანას გარეშე—68 წლის გახდებოდა, კვლავ შევიკრიბეთ მეგობრები, ახლო ნათესავები, ძევრელი პედაგოგები, რომელთა გვერდით რამდენიმე ათეული წელი გაატარა და თაობები აღზარდა. უღალატო, შრომისმოყვარე იყო მანანა, უშურველად გასცემდა, თვითონ არაფერს ითხოვდა, ხელის გამართვა წესად ჰქონდა. მოულოდნელი და ნაადრევი იყო მანანას ამქვეყნიდან წასვლა. ღირსეული პატივი მიაგეს შვილებმა ლევანმა და მარიამმა, უჭირისუფლა სამეგრელომ თავის გაზრდილ მშვენიერ ასულს, დაიტირა და ყვავილებით დაფარა მისი საფლავი, დაიტირა ძევრმა მისი საამაყო რძალი, ძევრელმა პედაგოგებმა რჩეული პედაგოგი.

განისვენებს ახლა ქალბატონი მანანა ღირსეული მეუღლის გვერდით და იქიდან, უფლის წიაღიდან მოგვიწოდებს, რომ გვიყვარდეს ერთმანეთი, გვიყვარდეს ყველაფერი, რაც ფასეულია, რაც მარადიულია, ზნეობრივი და კეთილია, ამაღლებული და კეთილშობილია. მანანას სახელს დავიწყება არ უწერია, რადგან დატოვა დიდი ოჯახი, უამრავი მეგობარი და ახლობელი. მის ოჯახში კვლავ დაიბადებიან შვილიშვილები, მათი შვილები და გაიგებენ, რომ ჰყავდათ ბებია, რომელმაც სიკვდილამდე უერთგულა ოჯახს, ყველას, ვისაც იცნობდა.

ჩვენ, ოჯახის წევრებთან, ან მათ გარეშე მივალთ მანანას საფლავზე, გავიხსენებთ, რა კარგი იყო, რა კეთილი, როგორი სიყვარულით სავსე...

უახლოესი მეგობრები

ელენე (აღუნი) სიმონგულოვი

ნახევარ საუკუნეზე მეტი ამშვენებდა და აძლიერებდა თერჯოლელ მედიკოსთა რიგებს ექიმი, სილამაზით, არისტოკრატიული იერით, ექიმის საუკეთესო თვისებებით შემკული ქალბატონი აღუნი სიმონგულოვი. თერჯოლას, პაციენტებს, დღემდე ახსოვს მისი გულისხმიერება და კეთილი ღიმილი იმედს რომ ასხივებდა.

დაიბადა 1918 წელს, ჩხარის რაიონში, 1936 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ჩხარის საშუალო სკოლა და იმავე წელს მოეწყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა ჩხარში, მუშაობდა ჩხარისა და გოგნის ამბულატორიის ექიმად. წლების განმავლობაში იყო თერჯოლის ცენტრალური საავადმყოფოს ინფექციონისტი, რამდენიმე წლის შემდეგ კი—სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი.

ამ პერიოდში ქალბატონ აღუნის, ჯანდაცვის სფეროში შეტანილი წვლილისათვის, მიღებული ჰქონდა მთავრობის არაერთი ჯილდო, აგრეთვე რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის წოდება.

არჩეული იყო საკავშირო ქალთა საბჭოს წევრად.

შემდეგ წლებში იყო თერჯოლის ცენტრალური საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე, ბოლოს კი პენსიაში გასვლამდე, როგორც ექიმი ნევროლოგი ემსახურებოდა ადამიანების ჯანმრთელობას.

უფლის მადლი ეფინოს მის მარადიულ სასუფეველს.

მზია ცქიფურიშვილი

„ქრისტე აღსდგა მკუდრეთით სიკუდილითა სიკუდილისა დამთრგუნველი და საფლავების „შინა ცხოვრების მიმნიჭებელი“

სულთათანა

ხეკეპილის ბინადარი ბორია აბჟანდაძე

...ძნელია წარმოიდგინო ხეკეპილი, ერთ-ერთი ყველაზე მაღალი და მშვენიერი ტურისტული ადგილი თერჯოლის მუნიციპალიტეტში, მისი პირველი ბინადრის ბორია აბჟანდაძის გარეშე. მალე ერთი წელი გახდება, რაც ბორია გარდაიცვალა და ახლა იქ ტურისტების მრავლობა, ისე, როგორც წინა წლებში, აღარ არის. უცხოელებს, ცხადია ყველას, ვინც ბორიას და ხეკეპილს იცნობდა და არ გაუგიათ მისი გარდაცვალება, დღემდე დადიან ხეკეპილში. იქ კი „ძია ბორიას ქოხი“ დაკეტილია, ქვაში გამოკვეთილი მისი გვარ-სახელი ამცნობთ „შემთხვევით სტუმრებს“, რომ ბორია ველარ გაუწევთ გიდობას, ვერ გაასეირნებთ ცხენით და ვერ გაუმასპინძლდებათ ნატურალური პროდუქტებით და ღვინით, ვერ უთამადებთ...

ხეკეპილი რომ „აღმოაჩინა“, მოეწონა. ჩხარში, მშვენიერ სახლკარში იშვიათად ათევდა ღამეს, იყო დრო მანქანის ძარაზე ეძინა, მერე პატარა ქოხი ააგო და ეს ულამაზესი ადგილი ტურისტულ ობიექტად აქცია, ტურისტებს მოსწონდათ ადგილიც, ბორიაც და კომფორტის ნაკლებობა არ აწუხებდათ, ხანდახან გარეთ, კარვებში, ან ღია ცის ქვეშ გაუთევიათ ღამე, „ეს ერთგვარი მუღამია“--ო ამბობდნენ თურმე. სამაგიეროდ ბორია იყო, კარგი მოსაუბრე, კარგი თამადა, ალალი, გულღია კაცი. მხოლოდ ერთხელ ვიყავი ხეკეპილში გიგა კუბლაშვილთან და ქუთაისელ სტუმრებთან ერთად და ეს ერთი დღე ერთ-ერთი საუკეთესო დღე იყო ჩემს ცხოვრებაში.

მერე ტრაგედია დაატყდა თავს ბორიას ოჯახს. 16 წლის შვილიშვილი ლუკა გარდაიცვალა. ბორიამ მაინც ვერ მიატოვა ხეკეპილი, იქ იყო გარდაცვალებამდე.

ბორია აბჟანდაძის საფლავი ჩხარშია, ნათელი დაადგეს.

ჟუჟუნა ცხადაძე

თამაზ მემანიშვილი



თერჯოლაში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ადამიანები, რომლებიც თავისი დამოკიდებულებით საქმისადმი, პრინციპულობით, ნაყოფიერი საქმიანობით, ზნეკეთილობით, ცხოვრების წესით საყოველთაო სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდნენ. ასეთი იყო თამაზ მემანიშვილი, რომელსაც თავისი ღირსეული წვლილი შეჰქონდა რაიონის ცხოვრების მატიანეში, ამიტომაცაა იგი დღემდე ახსოვთ, უყვართ და სინანულით იგონებენ.

71 წლის ასაკში თამაზის მოულოდნელი წასვლა ამ ქვეყნიდან მეხის გავარდნას გავდა, ის სიცოცხლის ბოლო წუთამდე აქტიურ საქმიანობას ეწეოდა.

დაიბადა 1944 წელს, სიქთარვა იყო მისი მშობლიური ალაგი. სკოლისა და სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის მეღვინეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს თერჯოლის ღვინის ქარხანაში ჯერ მუშად, შემდეგ მეღვინე ბრიგადირად, მეღვინედ. ერთხანს პარტიის რაიკომის ინსტრუქტორიც იყო, შემდეგ ისევ ღვინის კომბინატის დირექტორის მოადგილე, ერთხანს ჩაის ფაბრიკას დირექტორობდა.

1984 წლიდან თამაზ მემანიშვილი სამტრესტის თერჯოლის ღვინის კომბინატის გენერალური დირექტორის პოსტს იკავებს და ხელმძღვანელობს 1991 წლამდე. ამის შემდეგ მან სააქციო საზოგადოება „ციცქა“ დააფუძნა და პარალელურად სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა 2015 წლამდე, ანუ სიცოცხლის ბოლომდე. სადაც კი უმუშავნია, ყველგან თავის სიტყვას ამბობდა, როგორც პასუხისმგებლიანი და პრინციპული ხელმძღვანელი.

დიდი იყო ტკივილი ჭეშმარიტი მამულიშვილისა და საქმის უერთგულესი ადამიანის დაკარგვით გამოწვეული. დააკლდა სამსახურს, სოფელს, სამეგობროს, სანათესაოს და უპირველესად, ოჯახს. რაიონმა მისი სახით ერთ-ერთი ღირსეული მოქალაქე და სამეურნეო ხელმძღვანელი დაკარგა.

თამაზს მისი საქმე და პიროვნული თვისებები მუდამ აცოცხლებს მათ გულში, ვინც იცნობდა. შვილებს კი კახასა და ნესტანს მუდამ ექნებათ საამაყო თავიანთი კეთილშობილი, საყვარელი მამის გამო.

თამაზს არ სჭირდება ხსოვნის დღე, მისი ხსოვნა მარადიულია მის შთამომავლებში. უფლის ნათელი ეფინოს კარგი ქართველის საფლავს.

მზია ცქიფურიშვილი

მეთოდე ხუჯაძე



არიან ადამიანები, რომლებიც გაცნობისთანავე საოცარ შთაბეჭდილებას ტოვებენ არამარტო პროფესიონალიზმით, საქმის ერთგულებით, არამედ რაღაც სხვანაირი დიდი ადამიანობით, გულისხმიერებით, თავმდაბლობით... ასეთი იყო მეთოდე ხუჯაძე, ცხოვრებასთან შეუპოვარი, უზნეობასთან შეურიგებელი, ადამიანთა ჭირისა და ლხინის გულწრფელი გამზიარებელი და რაც მთავარია, მოსწავლე-ახალგაზრდობის თაობათა აღმზრდელი.

მეთოდე ხუჯაძეს თუ კარგად გაიცნობდი არ შეიძლება არ მოხიბლულიყავით მისი პატრიოტიზმით, საქმისადმი სიყვარულით და უსაზღვრო პასუხისმგებლობით, რომელსაც ნათლად წარმოაჩენდა როგორც თავის პედაგოგიურ საქმიანობაში მასწავლებლის თუ ხელმძღვანელის თანამდებობაზე ყოფნისას, ასევე საზოგადოებრივი დავალების შესრულებასთან დაკავშირებით.

მახსენდება თერჯოლას თავისი რადიომაუწყებლობა ჰქონდა, რადიოგადაცემები ეწყობოდა სოფლებში, მათ შორის ოთხ სოფელში ბატონ მეთოდეს მიერ გადაიცემოდა რაიონის ახალი ამბები. თავად მუდამ მოწესრიგებულს, ასევე ჰქონდა გადაცემებიც, თავისი გეგმით და ინფორმაციებით...

პედაგოგიური მოღვაწეობა ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაიწყო მშობლიური ქვ. სიმონეთის №1 სკოლის მათემატიკის პედაგოგად, 1984-2005 წლებში იყო სკოლის დირექტორი, შემდეგ კი 2005-2020 წლებში ქვედა სიმონეთის №2 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი. 2020 წელს ბატონი მეთოდე პენსიაში გავიდა, განათლების ღვაწლმოსილი მუშაკი 2022 წელს 88 წლის ასაკში გარდაიცვალა.

პედაგოგიურ საქამიანობაში მიღწეული წარმატებებისათვის ბატონი მეთოდე 2012 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, 2019 წელს კი მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

უშუალობა, თავმდაბლობა, ახალგაზრდებისადმი გულისმიერი დამოკიდებულება, პროგრესული აზროვნება, განათლების სფეროს რეფორმების და პრობლემების მიმართ თავისი დამოკიდებულება, პარალელურად მადლიერება, სიყვარულისა და სიკეთის მსახურება იყო მისი ცხოვრების კრედო...

ყოველივე ამასთან ერთად მეთოდე იყო საუკეთესო ოჯახის წინამძღოლი. მან მეუღლესთან ერთად სამი შვილი ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი აღზარდა. სამწუხაროდ, მეუღლისა და ერთი ვაჟიშვილის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი თან ჩაიყოლა ბატონმა მეთოდემ. ახლა მისი ოჯახის ტრადიციებს ვაჟი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ ქვედა სიმონეთში გია ხუჯაძე აგრძელებს თავისი ოჯახით.

შვილებს ნანასა და გიას, მათ შვილებს აქვთ უამრავი მოსაგონარი და გასახსენებელი თავიანთ საამაყო მამასა და ბაბუაზე... გასახსენებელი აქვთ მის ყოფილ მოსწავლეებს, კოლეგებს, ქვ. სიმონეთის №1 და №2 საჯარო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივებს, მეზობლებსა თუ მეგობრებს და პატივსაც მიაგებენ მის ხსოვნას.

ნათელი ეფინოს ბატონ მეთოდეს სამარადისო განსასვენებელს.

მზია ცქიფურიშვილი

გურამ ოქრუაძე

ბავშვობიდან გონიერებითა და ნიჭით გამორჩეული სკოლის საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გააგრძელა, შემდეგ სხვადასხვა საპასუხისმგებლო სამსახურში მოუწია მუშაობა. ყველგან თავის სიტყვას ამბობდა. იყო უკომპრომისო სიძნელეებთან ბრძოლაში, გონიერებისა და ნიჭის წყალობით სასურველ შედეგებსაც აღწევდა. სადაც კი იყო, რიგით სამუშაოზე თუ ხელმძღვანელის პოსტზე, თავის მართალ სიტყვას ამბობდა პირუთვნელად...

კარგი ოჯახის თავკაცი, საუკეთესო მეუღლე, მამა და ბაბუა, ასეთად დარჩება მისი სახელი ნაცნობებსა თუ საახლობლოში.

განსაკუთრებული იყო მეგობრებთან დამოკიდებულებაში. სიცოცხლის ბოლომდე შემორჩა სიყვარული და ერთგულება თანაკლასელების მიმართ. იყო მათი ჭირისა და ლხინის თანამოზიარე.

გურამის თაოსნობით დღემდე, სკოლის დამთავრებიდან ლამის 60 წლის შემდეგ, რომ კლასელები ერთმანეთს ვხვდებით და ერთმანეთის ჭირსა თუ ლხინს ვიზიარებთ ეს სწორედ მისი დამსახურებაა.

მისი ხელმძღვანელობით და ორგანიზებით ხდებოდა სკოლის დამთავრებიდან ყოველი 5 წლის შემდეგ თანაკლასელთა შეკრებები. შემდეგ კი, როცა 40 წელი გავიდა, ცხოვრება სწრაფად მიდისო და ყოველწლიურად ვიკრიბებოდით, ახლა კი ორი წელია გურამის გარეშე ხდება ჩვენი შეხვედრები, რაც ძალიან გულსატკენია, თუმცა გურამის სახელი და სხვა ჩვენი გარდაცვლილ თანაკლასელთა სახელების ხსენება და მათზე მოგონებებია ჩვენი შეკრების პირველი მისია. გურამს თანაკლასელთა შორის ბადალი არ ჰყავდა იმ ლამაზი დღეების ორგანიზებაში, სადაც ჩვენი პედაგოგებიც გვესწრებოდნენ. უმეტეს შემთხვევაში, მუდამ ჩვენს გვერდით იყო ჩვენი კლასის დამრიგებელი და საუკეთესო პედაგოგი ნუნუ აბულაძე, მისი დამსახურებაც დიდი იყო იმ სიყვარულში, რასაც ეს საოცარი დღეები გვაძლევდა...

ასე გაგრძელდება მანამ, სანამ წლები თავისას არ გაიტანს. ვეცდებით ყოველთვის მოვიხსენიოთ ჩვენი ადრე წასული მეგობარი გურამ ოქრუაძე, რომელმაც საუკეთესო ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი.

მეგობრობა მარადიული და გაუხუნარია, ძმაო და მეგობარო გურამ, იძინე შენს მარადიულ სასუფეველში, შენ ღირსეულად მოიხადე კაცურკაცობისა და მეგობრობის ვალი...

მუდამ მოგიგონებთ.

1965-66 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ექიმ გია სიმონგულაშვილს ძმის

ზურაბ სიმონგულაშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ინგა კირკიტაძეს ძმის

ზაზა კირკიტაძის

გარდაცვალების გამო.

ვნების კვირა
6-11 აპრილი
ქრისტიანებმა ეს პერიოდი მარხვასა და ლოცვაში უნდა გაატარონ

ვნების კვირა დიდი მარხვის ბოლო, აღდგომისწინა კვირას ჰქვია. ეს კვირა (უფრო სწორად, 6 დღე) იესო ქრისტეს ვნების, ჯვარცმისა და დასაფლავების მოგონებას ეძღვნება. ქრისტიანებმა მთელი ეს პერიოდი მარხვასა და ლოცვაში უნდა გაატარონ. ეს გლოვის დღეებია და ღვთისმსახურებსაც ტაძარში სამგლოვიარო, შავი სამოსი აცვიათ.

მოსაგონებელი მოვლენების უდიდესი მნიშვნელობის გამო ვნების კვირის ყოველ დღეს დიდს ვუწოდებთ.

ორშაბათი, სამშაბათი და ოთხშაბათი იესო ქრისტეს მოწაფეებსა და ხალხთან უკანასკნელი საუბრების გახსენებას ეძღვნება.

ვნების კვირა მიმდინარე წელს 6 აპრილს იწყება. ნიშანდობლივია, რომ მისი წინა დღე 5 აპრილი ბზობაა, ხოლო ხარება 7 აპრილს დიდ სამშაბათს ემთხვევა.

დიდი ორშაბათი, 6 აპრილი

დიდ ორშაბათს ეკლესია უნაყოფო ლეღვის გახმობას იხსენებს. ეს ლეღვი იმ იუდეველთა სახეა, რომელთა გულშიც იესო ქრისტემ ჭეშმარიტი ნაყოფი ვერ პოვა - იქ მხოლოდ კანონების მშრალი აღსრულება დახვდა, ამიტომაც ამხილა ისინი და დაგმო. მაგრამ უნაყოფო ლეღვი ასევე ყველა იმ ქრისტიანის სულის სიმბოლოცაა, რომელიც სინანულის ნაყოფს არ ისხამს. ეკლესიაც დიდ ორშაბათს სწორედ სინანულისკენ მოგვიწოდებს. ასევე სამყაროს აღსასრულის ნიშნების აღწერით ეკლე-

სია მორწმუნეებს ამქვეყნიურ ბოროტებაზე ამაღლებისკენ, სულგრძელობისკენ, სიმშვიდისკენ, მოთმინებისკენ, ლოცვისა და სულიერი სიფხიზლისკენ მოუწოდებს და მაცხოვრის მიერ სახარების მთელ ქვეყანაზე გავრცელებისა და რჩეულთა გულისთვის განსაცდელთა შეწყვეტის აღთქმით ანუგეშებს.

დიდი სამშაბათი, 7 აპრილი

დიდი სამშაბათის მსახურებაზე ვიხსენებთ იგავს ათი ქალწულისა და ტალანტების შესახებ და გრძელდება მათეს სახარების ორშაბათს დაწყებული საკითხავი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ. ამით წმინდა ეკლე-

სია კიდევ ერთხელ და საგანგებოდ მოუწოდებს მორწმუნეებს სულიერი სიფხიზლისკენ, ჩვენთვის ბოძებული ნიჭისა და ძალების მართებული გამოყენებისკენ, განსაკუთრებით კი - მოწყალებისკენ, რასაც უფალი პირადად მის წინაშე ჩადენილ ღვაწლად გვითვლის, როცა გვეუბნება: „რაოდენი უყავ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ" (მთ. 25:40).

დიდი ოთხშაბათი, 8 აპრილი

ეს იუდას მიერ იესო ქრისტეს გაცემის დღეა.

ოთხშაბათის ღამე მაცხოვარმა ბეთანიაში გაატარა. აქ, სიმონ კეთროვნის სახლში, იმ დროს, როცა მღვდელმთავრებს, მწიგნობრებსა და უხუცესებს იესო ქრისტეს

მოტყუებით შეპყრობა და მოკვდინება ჰქონდათ გადაწყვეტილი, უცხო დედაკაცმა ძვირფასი ნელსაცხებელი ინახით მჯდომ მაცხოვარს უხვად დაასხა თავზე, რითაც, როგორც თავად მაცხოვარმა ბრძანა, იგი დასაფლველად მოამზადა.

აქვე, დედაკაცის უანგარო საქციელის საპირისპიროდ, იესო ქრისტეს თორმეტთაგან ერთ-ერთი მოწაფის, იუდა ისკარიოტელის უმადურ სულში ჩაისახა ბოროტი აზრი, თავისი მასწავლებელი და უფალი იუდეველთა უკანონო საბჭოსთვის მიეცა. ამიტომ დიდი ოთხშაბათის საეკლესიო მსახურება განადიდებს იმ დედაკაცს, რომელმაც მაცხოვარს ნელსაცხებელი სცხო, იუდას ვერცხლისმოყვარეობასა და გამცემლობას კი კიცხავს და გმობს.

დიდი ხუთშაბათი, 9 აპრილი

დიდი ხუთშაბათის მსახურებაზე იესო ქრისტეს მიერ მოწაფეთათვის ფეხთა დაბანას, საიდუმლო სერობას, გეთსიმანიის ბაღში იესო ქრისტეს ლოცვას და იუდას მიერ მის

გაცემას ვიხსენებთ. აღესრულება ბასილი დიდის წირვა, რომელიც სერობას იმის სამახსოვროდ უერთდება, რომ უფალმა ზიარების საიდუმლო სწორედ ამ დღეს, სერობის ჟამს, დაადგინა. სერობაზე „რომელთა ქერუბიმთას" ნაცვლად იგალობება: „სერობასა საიდუმლოსა შენისასა დღეს, ძეო ღვთისაო, ზიარებად შემიწყნარე". სერობაზე მართლმადიდებელი ეკლესიების მღვდელმთავრები ფეხთბანვის რიტუალს ატარებენ: როგორც მაცხოვარმა დაბანა ფეხები სერობის დაწყებამდე თავის თორმეტ მოწაფეს, ასევე ბანს ფეხებს მღვდელმთავარი თორმეტ მღვდელმსახურს.

დიდი ხუთშაბათი იმითაცაა გამორჩეული, რომ ეს ერთადერთი დღეა მთელი წლის განმავლობაში, როცა, საჭიროების შემთხვევაში, მირონის კურთხევა შეიძლება.

დიდი ხუთშაბათის საღამოს სრულდება დიდი პარასკევის ცისკარი, რომლის დროსაც ე.წ. „თორმეტი სახარება" ანუ ოთხი სახარებიდან ამოკრებილი 12 ნაწყვეტი იკითხება. „თორმეტი სახარების" კითხვისას მორწმუნენი ანთებული სანთლებით ხელში დგანან, რაც ერთი მხრივ ჩვენი მხსნელის მიმართ მხურვალე სიყვარულის გამოხატულებაა, მეორე მხრივ კი იმის ხსოვნა, რომ მაცხოვარს ღვთიური დიდება ვნების დროსაც არ დაუკარგავს. ყოველი სახარების წაკითხვის შემდეგ სამრეკლოს ზარი იმდენჯერ ჩამოჰკრავს, რიგით მერამდენე სახარებაც იკითხება.

მერვე სახარების შემდეგ იკითხება კანონი და იგალობება საგალობელი, რომელშიც ასახულია ის ეპიზოდი, როდესაც იესო ქრისტემ მის გვერდით ჯვარცმულ ავაზაკს შეუნდო, რადგან ამ უკანასკნელმა სიკვდილის წინ შეინანა. ეს საგალობელი მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ სრულდება.

თორმეტი სახარების მსახურების დასრულების შემდეგ მორწმუნენი ტაძრის შუაგულში დაბრძანებულ ჯვარცმასთან მიდიან, დიდი მეტანიის გაკეთებით ეამბორებიან და ტაძარს ტოვებენ.

დიდი პარასკევი, 10 აპრილი

დიდი პარასკევის ღვთისმსახურება იესო ქრისტეს ჯვარცმას, ჯვრიდან გარდამოხსნასა და დასაფლავებას იხსენებს. წირვა არ აღესრულება, რადგან ამ დღეს ცოდვებისგან ჩვენს გამოსახსნელად უფალმა საკუთარი თავი

შესწირა მსხვერპლად. სრულდება სამეუფეო ჟამნი, რომლის დროსაც კვლავ იკითხება სახარება მისი ვნების შესახებ.

დიდი პარასკევის სერობა მაცხოვრის ჯვრიდან გარდამოხსნასა და დასაფლავებას ეძღვნება და, ჩვეულებრივ, შუადღისას, ორ საათზე აღევლინება, რადგან სწორედ ამ დროს მიიცვალა ჯვარზე იესო ქრისტე. მსახურების დაწყებამდე ტაძრის შუაგულში მზადდება ამაღლებული, ყვავილებით მორთული სადგამი - „საფლავი", საკურთხეველში კი, წმინდა ტრაპეზზე, საგანგებოდ მოხატულ დიდ ქსოვილზე, რომელზეც საფლავში მყოფი მაცხოვარია ამოქარგული, დააბრძანებენ გარდამოხსნას.

გარდამოხსნა ტაძრის შუაგულში არასრული სამი დღის განმავლობაში რჩება, მაცხოვარი ხომ აღდგომამდე სამი დღე იყო საფლავში.

დიდი პარასკევი მთელი წლის განმავლობაში ყველაზე მძიმე მარხვის დღეა, როცა მოძღვრის კურთხევით, მორწმუნეთაგან ზოგი მთელი დღის განმავლობაში არაფერს ჭამს, ზოგი კი პურსა და წყალზეა.

ძველი ტრადიციის თანახმად, ამავე დღეს, მზის ჩასვლამდე, წითლად იღებება სააღდგომო კვერცხები. კვერცხი ქრისტიანული ტრადიციით ზოგადად სიცოცხლის სიმბოლოა, წითლად შეღებვა კი იმისა, რომ ჯვარცმული მაცხოვრის სისხლით გამოსყიდულ კაცობრიობას მარადიული სიცოცხლე მიენიჭა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სააღდგომო კვერცხი აუცილებლად წითელი უნდა იყოს.

დიდი შაბათი, 11 აპრილი

დიდი შაბათის ღვთისმსახურება იესო ქრისტეს ხორცით საფლავში, სულით კი ჯოჯოხეთში ჩასვლას და, ბოლოს, მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომას ეძღვნება. ცისკარზე მღვდელმსახურები გარდამოხსნას ტაძრიდან გამოაბრძანებენ და, ნიშნად იესო ქრისტეს ჯოჯოხეთში ჩასვლისა და სიკვდილზე გამარჯვებისა, ხალხის თანხლებით ტაძრის ირგვლივ შემოატარებენ. შემდეგ ისევ ტაძარში შეაბრძანებენ და ღია აღსავლის კართან მიიტანენ. ეს იმის ნიშანია, რომ მაცხოვარი განუყოფლად იმყოფება მამა ღმერთთან და რომ თავისი ვნებითა და სიკვდილით კვლავ გაგვიღო სამოთხის კარი.

დიდი შაბათის ღვთისმსახურება მართლმადიდებლური ლიტურგიული ტრადიციის მწვერვალია. ეს არაა იესო ქრისტეს სიკვდილისა და დასაფლავების ისტორიული მოვლენების დრამატული გათამაშება ან სახარებისეული რიტუალური დადგმა. ეს ღვთისმსახურება ღრმა სულიერი წვდომაა მაცხოვრის იმ ქმედების მარადიულ არსში, რომლითაც მან კაცობრიობა იხსნა.

ბასილი დიდის საღვთო ლიტურგია ანუ წირვა ამ დღეს ჩვეულებრივზე გვიან იწყება და მწუხრს უერთდება. მღვდელი საკურთხეველში ტრაპეზთან კი არ მსახურობს, არამედ ტაძრის შუაგულში, გარდამოხსნასთან.

მცირე შესავლისა და „ნათელი მხიარულის" გალობის შემდეგ იკითხება 15 საწინასწარმეტყველო საკითხავი ძველი აღთქმიდან. ყოველ მათგანში ნაწინასწარმეტყველია ღვთის მიერ სამყაროს ხსნა, რაც აღთქმული მესიის მოსვლით აღსრულდა.

საწინასწარმეტყველოსა და სამოციქულოს წაკითხვიდან იწყება მზადება მაცხოვრის აღდგომის დღესასწაულისთვის. ამ დროს სამღვდელოების სამგლოვიარო შესამოსელი სადღესასწაულოთი იცვლება. ასევე იცვლება მთელ ტაძარში შავი ფერები ნათელით. ეს იმის ნიშნად ხდება, რომ მენელსაცხებლე დედებმა ადრიანი დილით, ჯერ კიდევ სიბნელეში, მაცხოვრის საფლავზე იხილეს ნათლით მოსილი ანგელოზი და მისგან ისმინეს ხარება იესო ქრისტეს აღდგომის შესახებ.

სადღესასწაულოდ შემოსილი დიაკვანი, როგორც ანგელოზი, გამოდის ტაძრის შუაგულში, გარდამოხსნის წინ, და სახარების კითხვით ხალხს მაცხოვრის აღდგომას ამცნობს. ამის შემდეგ წირვა ჩვეულებრივად გრძელდება, ოღონდ „ღირს არსის" ნაცვლად იგალობება „ნუ მტირ მე, დედაო...".

წირვის დამთავრების შემდგომ აკურთხებენ ღვინოსა და პურს მლოცველთა სანუგეშოდ და განსამტკიცებლად. ამას „მოციქულთა საქმეების" კითხვა მოსდევს, რაც შუაღამიანის ლოცვამდე გრძელდება.

ღამის თერთმეტ საათამდე აღესრულება შუაღამიანი, რომლის დროსაც იკითხება დიდი შაბათის კანონი, მის დასასრულს კი სამღვდელოება ტაძრის შუაგულიდან აღსავლის კარით უხმოდ გადაასვენებს გარდამოხსნას საკურთხეველში, წმინდა ტრაპეზზე, სადაც ის უფლის ამაღლების დღესასწაულამდე რჩება, ნიშნად იმისა, რომ იესო ქრისტემ მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ორმოცი დღე დაყო ამქვეყნად.

ამის შემდეგ მორწმუნენი სასოებით ელიან შუაღამის დადგომას, როდესაც ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, ბრწყინვალე აღდგომის უდიდესი დღესასწაული იწყება.

აღდგომის სიხარული უდიდესი სიხარულია, რომლის მსგავსიც დედამიწის ზურგზე არც არის და არც შეიძლება იყოს. ეს არის უსასრულო სიხარული მარადიული სიცოცხლისა და ნეტარებისა. ეს ის სიხარულია, რომელზეც თვით უფალმა თქვა: „უხაროდეს გულთა თქვენთა და სიხარული თქვენი არავინ მიგიღოს თქვენგან" (იოანე 16:12).



გვახსოვდეს, ეს ჩვენი ისტორიაა!

საქართველოს პირველი პრეზიდენტი (1991-1992), ზვიად გამსახურდია 1939 წლის 31 მარტს დაიბადა, ქართველი მეცნიერი-ფილოლოგი, მწერალი, მთარგმნელი, პოლიტიკოსი, დისიდენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს ეროვნული გმირი, გარდაიცვალა 1993 წელს.

თანამებრძოლებთან ერთად ზვიად გამსახურდიას სახელს უკავშირდება საქართველოში 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის ჩატარება. შეკითხვას „ხართ თუ არა თანახმა, რომ აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე?“ საქართველოს საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოსახლეობის 98%-მა დადებითი პასუხი გასცა.

1991 წლის 9 აპრილს, რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

9 აპრილი—საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა ხსოვნის დღე.

14 აპრილი—დედაენის დღე

15 აპრილი—სიყვარულის დღე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2026 წლის 18 მარტს გაიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე ხელმძღვანელობდა.

სხდომას ესწრებოდა მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერის პირველი მოადგილე ზვიად ბაზაძე და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

საკრებულოს სხდომის მონაწილეებმა ფეხზე დგომითა და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს, რომელიც 17 მარტს გარდაიცვალა.

„ჩვენმა პატრიარქმა,—ითქვა სხდომაზე, განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში, ერისა და ბერის გაერთიანებაში“.

იმავე დღეს, საკრებულოს სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული 8 საკითხი.

განხილული საკითხებიდან ჩვენი გაზეთის ამ ნომერში გთავაზობთ ერთ-ერთს, კერძოდ იმ ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხას, რომელიც „სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობასთან ჩატარებულ კრებებსა და კონსულტაციებზე მათ მიერ მხარდაჭერილი წინადადებების საფუძველზე შედგა და დაამტკიცა საკრებულოს სხდომამ.

მისანიშნებელია, რომ მუნციპალიტეტის მერიამ უკვე გამოაცხადა ტენდერი შესასრულებელი პროექტების განხორციელების მიზნით.

ვთხოვთ ყველას—ჩვენს მკითხველს, უპირველესად კი მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღონ კრებებსა და კონსულტაციებში, ასევე აქტიურად ჩაერთონ პროექტების განხორციელების მიმდინარეობის ზედამხედველობაში, რომ დაცული იქნას სამუშაოების ვადები და ხარისხი.

გაზეთის ამავე ნომერში, მომდევნო მე-10 გვერდზე, ასევე გთავაზობთ ინფორმაციას მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე წლის 4 მარტის სხდომაზე განხილული საკითხის—თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგების დამტკიცების შესახებ, რაზედაც კომენტარს აკეთებს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ავთანდილ ურიადმყოფელი.

P.S. „თერჯოლის“ წინა ნომრის გამოსვლის შემდეგ თერჯოლის მუნიციპალიტეტში (16 მარტი—6 აპრილი) არაერთი საინტერესო აქტივობა გაიმართა, რომელთა შესახებ, სხვა თემებთან ერთად, ჩვენი გაზეთის მომავალ ნომერში მოგითხრობთ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში 2026 წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხა

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე, 18 მარტი, 2026 წელი, განკარგულება №

ძევრის ადმინისტრაციული ერთეული

ძევრი—საეკლესიო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 16 000 ლარი

ოქონა—სოფლის ცენტრში არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობა და მოედანზე სკამების მონტაჟი 16 000 ლარი

სეფარეთი—წლის სისტემის რეაბილიტაცია 10 000 ლარი

ჩხარის ადმინისტრაციული ერთეული

ჩხარი—სოფლის ცენტრში არსებული სკვერის რეაბილიტაცია 16 000 ლარი

მაცხოვარი—სანიაღვრე არხების მოწყობა 16 000 ლარი

გოგნის ადმინისტრაციული ერთეული

გოგნი—სოფლის ცენტრში სველი წერტილის მოწყობა 16 000 ლარი

თუზის ადმინისტრაციული ერთეული

თუზი—საუბანო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 20 000 ლარი

კაკაბოური—საუბანო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 10 000 ლარი

თავასა—საუბანო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა12 000 ლარი

ჯგილათი—საუბანო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 10 000 ლარი

ვარდიგორა—გარე განათების მოწყობა 16 000 ლარი

ზედა საზანოს ადმინისტრაციული ერთეული

საზანო—მინი სპორტული მოედნის მოწყობა 20 000 ლარი

დელტასუბანი—მინი სპორტული მოედნის მოწყობა 16 000 ლარი

შიმშილაქედი—მინი სპორტული მოედნის მოწყობა 10 000 ლარი

ჩიხორი—სასაფლაოს გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა12 000 ლარი

მუჯირეთი—სასაფლაოს გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 10 000 ლარი

სკანდე—სასაფლაოს გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 16 000 ლარი

ალისუბნის ადმინისტრაციული ერთეული

ქვ. ალისუბანი—გმირთა მემორიალის ეზოს შემოღობვა 16 000 ლარი

ქვ. ალისუბანი—გარე განათების მოწყობა 4 000 ლარი

ზედა ალისუბანი—სკოლის ეზოს შემოღობვა 16 000 ლარი

ზარნაძეები—ცხაურის და ბოგირის მოწყობა 3 000 ლარი

ზარნაძეები—გარე განათების მოწყობა 5 000 ლარი

ზარნაძეები—თავშეყრის ადგილის რეაბილიტაცია 4 000 ლარი

თხილთაწყარო—გარე განათების მოწყობა 5 000 ლარი

თხილთაწყარო—საუბნო გზის ბეტონის საფარის მოწყობა 5 000 ლარი

მაჩიტაური—გარე განათების მოწყობა 10 000 ლარი

რუფოთის ადმინისტრაციული ერთეული

რუფოთი—მემანიშვილები-ჭანჭურიძეების უბანში ბეტონის გზის მოწყობა 12 000 ლარი

რუფოთი—სოფლის ცენტრში ფანჩატურის მოწყობა 8 000 ლარი

ტელეფა— გარე განათების მოწყობა 3 000 ლარი

ტელეფა—გურგენოძეების უბანში ბეტონის გზის მოწყობა 13 000 ლარი

ღვანკითის ადმინისტრაციული ერთეული

ღვანკითი—მინი სპორტული მოედნის მოწყობა 20 000 ლარი

ბარდუბნის ადმინისტრაციული ერთეული

ბარდუბანი—გარე განათების მოწყობა 20 000 ლარი

სათემო—სათემოში ჭულუხაძეების უბანში არსებული წყაროს რეაბილიტაცია 12 000 ლარი

ეწრის ადმინისტრაციული ერთეული

ეწერი—სოფლის ცენტრში არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობა 20 000 ლარი

ახალი უბანი—მინი სპორტული მოედნის მოწყობა 12 000 ლარი

სიქთარვის ადმინისტრაციული ერთეული

სიქთარვა—სანიაღვრე არხების მოწყობა 7 000 ლარი

სიქთარვა—გარე განათების მოწყობა 4 000 ლარი

სიქთარვა—საუბნო გზაზე ინერტული მასალის სრანა და გაშლა 9 000 ლარი

ჩხარი ეწერი—წყაროს მიმდებარედ ფანჩატურის მოწყობა 4 500 ლარი

ჩხარი ეწერი—გარე განათების მოწყობა 2 000 ლარი

ჩხარი ეწერი—სანიაღვრე არხების მოწყობა9 500 ლარი

ახალთერჯოლის ადმინისტრაციული ერთეული

ახალთერჯოლა—გარე განათების მოწყობა 11 400 ლარი

ახალთერჯოლა—ბეტონის სანიაღვრე არხების და ცხაურების მოწყობა 8 600 ლარი

ბოსელა—სანიაღვრე არხების მოწყობა 3 000 ლარი

ბოსელა—სგარე განათების მოწყობა 7 000 ლარი

კვახჭირის ადმინისტრაციული ერთეული

კვახჭირი—სანიაღვრე არხების მოწყობა 14 000 ლარი

კვახჭირი—გარე განათების მოწყობა 2 000 ლარი

ოდილაური—სანიაღვრე არხების მოწყობა 9 000 ლარი

ოდილაური—გარე განათების მოწყობა 7 000 ლარი

სარბევი—სასაფლაოს შემოღობვა მავთულბადით 11 000 ლარი

სარბევი—გარე განათების მოწყობა 5 000 ლარი

გოდოგნის ადმინისტრაციული ერთეული

გოდოგანი—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 10 000 ლარი

გოდოგანი—გარე განათების მოწყობა 10 000 ლარი

ნაგარევი—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 12 000 ლარი

ბროლისქედი—გარე განათების მოწყობა 12 000 ლარი

ჭალასთავი—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 10 000 ლარი

ჭოგნარის ადმინისტრაციული ერთეული

ჭოგნარი—გარე განათების მოწყობა 20 000 ლარი

ნახშირღელის ადმინისტრაციული ერთეული

ნახშირღელე—ხორხის უბანში გარე განათების მოწყობა 20 000 ლარი

ნავენახევი—ნავენახევში გარე განათების მოწყობა 10 000 ლარი

ნავენახევი—წყაროსთან ბეტონის რეზერვუარის მოწყობა 2 000 ლარი

ქვედა სიმონეთის ადმინისტრაციული ერთეული

ქვ. სიმონეთი—ცხაურის მოწყობა 1 200 ლარი

ქვ. სიმონეთი—გარე განათების მოწყობა 18 800 ლარი

ზედა სიმონეთის ადმინისტრაციული ერთეული

ზ. სიმონეთი—საუბნო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა 10 000 ლარი

ზ. სიმონეთი—გარე განათების სისტე-მოწყობა 10 000 ლარი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

გასული წლის საბიუჯეტო სიძნელეები დავძლიეთ, როგორია 2026 წლის მოლოდინები...

როგორც აღვნიშნეთ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, 2026 წლის 4 მარტის სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა თერჯოლის მუნიციაპლიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგები.

ინფორმაციების პაკეტი, რომელიც საკრებულოში მერიამ წარადგინა, კარგად ასახავს იმ სურათს, რაც გასული წლის განმავლობაში შეიქმნა მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ცხოვრებაში.

ჩვენ დაწვრილებით გავეცანით ამ მეტად ტევად ანგარიშს და გადავწყვიტეთ „თერჯოლის“ ერთი გვერდი მთლიანად დაგვეთმო ინფორმაციისათვის, რომელიც მკითხველს საშუალებას მისცემს ჯამურ ციფრებში წარმოიდგინოს მუნიციპალიტეტის გასული წლის საბიუჯეტო ცხოვრების სურათი. იმის გათვალისწინებით, რომ არანაკლებ დაძაბული იქნება მიმდინარე წლის საბიუჯეტო ცხოვრება ვიდრე გასული წლისა, ჩვენ ვთხოვეთ მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელს ავთანდილ ურიადმყოფელს გაეკეთებინა კომენტარები, თუ რა ღონისძიებების გატარებას აპირებენ მერიის სამსახურებში მიმდინარე წლის არანაკლებ დაძაბული გეგმა-ბიუჯეტის შესრულებისათვის.

2025 წლის ბიუჯეტის შესრულება

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იყო მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2024 წლის 4 დეკემბრის N18 დადგენილებით - 20650.0 ათასი ლარის ოდენობით (საკუთარი შემოსავლები - 20350.0 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან - 300.0 ათასი ლარი).

2025 წლის 1 იანვრისათვის ნაშთი შეადგენდა 228.0 ათას ლარს. მათ შორის: საკუთარი (ადგილობრივი) შემოსავლები 119.0 ათას ლარს და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გრანტების სახით მიღებული შემოსავალი - 109.0 ათას ლარს.

2025 წლის განმავლობაში ბიუჯეტის ცვლილება 18-ჯერ განხორციელდა (მერის ბრძანებით 6-ჯერ და საკრებულოს მიერ - 12-ჯერ). საბოლოოდ, ბიუჯეტის მთლიანი საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 41077.8 ათასი ლარით ((საკუთარი (ადგილობრივი) შემოსავლები 26000.9 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 15076.9 ათასი ლარი).

ფაქტიურად, 2025 წლის ბიუჯეტის წლიურმა შემოსულობებმა 40371.5 ათას ლარი, ხოლო ფაქტიურმა გადასახდელებმა 39056.9 ათას ლარი შეადგინა. 2026 წლის პირველი იანვრისათვის ნაშთი დარჩა 1314.6 ათასი ლარი. მათ შორის: საკუთარი (ადგილობრივი) შემოსავლები 522.7 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 791.9 ათასი ლარი.

ბიუჯეტის შემოსავლები როგორც აღვნიშნეთ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის წლიურმა ფაქტიურმა შემოსავლებმა 40371.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (41077.8 ათასი ლარი) 98,2%-ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წლიურ ფაქტიურ შემოსავლებში (40371.5 ათასი ლარი) საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი 19965.4 ათას ლარს, ანუ 49,4 %-ს შეადგენს. არასაგადასახადო (სხვა) შემოსავლების ხვედრითი წილი -2551.3 ათას ლარს, ანუ 6,3 პროცენტს. სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გრანტების სახით მიღებული შემოსავლები -17125.7 ათას ლარს, ანუ 42,4 %-ს. არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავლები შეადგენს 501.1 ათას ლარს, ანუ 1,2 %-ს.

ბიუჯეტის შემოსავლების ანალიზიდან ჩანს, რომ 2025 წლის წლიურ ფაქტიურ შემოსულობებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აკუმულირებული შემოსავლებიდან მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი 19965.4 ათასი ლარი (49,4%) საგადასახადო შემოსავლებს უჭირავს. ქონების გადასახადის სახით ჩარიცხულია 3509.3 ათასი ლარი. დამატებული ღირებულების გადასახადის სახით ჩარიცხულია 16456.1 ათასი ლარი. არასაგადასახადო (სხვა) შემოსავლების სახით ჩარიცხულია 2551.3 ათასი ლარი (გეგმა 2761.8 ათასი ლარი).

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხული თანხებიდან, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიზნობრივი ტრანსფერის სახით ჩარიცხულია 1956.3 ათასი ლარი (გეგმა 2101.5 ათასი ლარი). ფინანსური დახმარება ჩარიცხულია 2700.0 ათასი ლარი. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ჩარიცხულია 8676.0 ათასი ლარი (გეგმა 9076.0 ათასი ლარი). სოფლის მხარდაჭერის პროგრამებისათვის ჩარიცხულია 690.0 ათასი ლარი. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით ჩარიცხულია 2287.2 ათასი ლარი. საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ჩარიცხულია 489.3 ათასი ლარი და მოქალაქეთა ჩართულობის პროექტებისათვის - 323.9 ათასი ლარი.

ბიუჯეტის გასავლები თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის წლიური გადასახდელების გეგმა შეადგენდა 41077.8 ათას ლარს. ფაქტიურად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი დაფინანსებულია 39056.9 ათასი ლარით, ანუ გეგმა შესრულებულია 95,1%-ით.

2026 წლის ბიუჯეტის შესახებ

ავთანდილ ურიადმყოფელი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი: უპირველესად იმის თაობაზე, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2025 წლის, როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვით ნაწილში გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო შეგვექმნა სირთულეები, მაგრამ ჩვენ შევძელით ყველა გაწეული ხარჯის სრულად დაფინანსება.

ასევე აღვნიშნავ, რომ გასულ წელს, ბიუჯეტმა შემოსულობების ნაწილში ისტორიულ მოცულობას მიაღწია, 40 მლნ. ლარს გადააჭარბა და 40 371,5 ათასი ლარი შეადგინა. განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ შემოსულობებიდან 13 340,5 ათასი ლარი ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად დაიხარჯა.

რაც შეეხება 2026 წლის ბიუჯეტს, მისი მოცულობა ამ ეტაპზე უკვე 35 846,6 ათასი ლარია, რაც არანაკლებ დაძაბულ მუშაობას მოითხოვს ვიდრე გასულ წელს. მითუმეტეს, როცა ამ მოცულობიდან დიდი წილი 27 103,0 ათასი ლარი მოდის საკუთარ შემოსავლებზე.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მათ განსახორციელებლად ბიუჯეტში 8 300,0 ათასი ლარია გათვალისწინებული.

წელს პირველი კვატრლის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ შემოსავლების მოცულობა იმდენად დამაჯერებელია, რომ რეალურად იკვეთება შემოსავლების წლიური გეგმის შესრულების გარანტიები. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელობამ კატეგორიული მოთხოვნები წაუყენა მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობის იმ ნაწილს, რომლებიც მოიხმარენ წყალს სათანადო გადასახადის გარეშე. მათ მიმართ უკვე ატარებენ ადმინისტრაციული სახის ღონისძებებს (აბონენტის გათიშვა ქსელიდან, უბნისა და ქსელის ამორთვა და ა.შ.) ეს პროცესი ახალი დაწყებულია და უკვე იგრძნობა დადებითი ტენდეციები. ჩვენი შეხედულებით, შემოსავლები დამატებით უნდა გაიზარდოს მინიმუმ 100,0 ათასი ლარით.



არის კიდევ ერთი ღონისძიება მოსახლეობიდან შემოსავლების ზრდისათვის. კერძოდ, საყოფაცხოვრებო ნარჩნეების გატანის საფასურის დადგენილი კოეფიციენტით გაწერის შესახებ. ეს შემოსავალიც გვესახება რეალურად, რადგანაც მომსახურეობის საფასურის ამოღებას, როგორც მოქალაქეებიდან ისე იურიდიული პირებიდან უზრუნველყოფს „ენერგო-პრო ჯორჯია“ მერიასთან უახლოეს მომავალში დადებული ურთიერთსასარგებლო ხელშეკრულების საფუძველზე. აქაც მოსალოდნელია შემოსავლების ზრდა 150,0 ათასი ლარით.

ასეთი რეზერვების გათვალისიწნებითა და შემოსავლების მობილიზებაში აქტივის ფართო ჩართულობით თანხების მობილიზება გაცილებით მეტ შესაძლებლობას მისცემს ბიუჯეტს მომავალშიც. დავაზღვიოთ ყველა შესაძლო ფინანსური პრობლემები.

მიუწვდომელი სიმაღლე

ვინ იყო ის და რა გააკეთა ისეთი, იმ მწუხარე დღეებში მთელი საქართველო რომ დასტიროდა და ჭირისუფლად ედგა.

ეს იყო საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, ხოლო რაც გააკეთა ხალხმა თქვა, თვალცრემლიანმა მწუხარემ, მდუმარედ ტაძრებში მისულმა, თუ ტელევიზორებთან მუდმივ მჯდომარემ. მემატიანე თავის ადგილს მიუჩენს პატრიარქის მოღვაწეობის შეფასებას, რათა მომავალმა თაობამ იცოდეს—ვინ გვყავდა.

„ჩვენ ვგლოვობთ პატრიარქს“

როგორც ცნობილია პატრიარქს 2008 წლის 19 იანვრიდან, პირველი ნათლობიდან დღემდე 50 000-ზე მეტი პატარა ჰყავს მონათლული, ქართველი დედების ყოველი მესამე და შემდეგი შვილი.

თერჯოლაშიც არიან პატრიარქის ნათლულები. ზოგს გათვითცნობიერებული აქვს რას ნიშნავს იყო პატრიარქის ნათლული, ზოგიც ჯერ პატარაა. უსაზღვროა პატრიარქის ნათლულების სევდა და წუხილი: **კონსტანტინე, ცოტნე კუბლაშვილებმა, ქრისტინე და მარიამ ბუცხრიკიძეებმა, თეკლა დევდარიანმა, რუსუდან მარუაშვილმა** ასე ჩამოაყალიბეს განცდები:

„განსაკუთრებულად მძიმე სიჩუმეა ჩემს გულში; „პატრიარქი არ იყო მარტო ქვეყნის სულიერი მამა, პატრიარქი ჩემი ნათლიაა“; „მისი კურთხევა და ლოცვა მუდამ თან მახლავს“; „ბავშვური გულით მიღებული სიყვარული სევდად გადაიქცა“; „განვიცდი, გულში დარჩა ყველაზე მთავარი — სიყვარული, კურთხევა, სითბო, რომელიც არასოდეს გაქრება“; „ეს ტკივილი დროთა განმავლობაში გარდაიქმნება მადლიერებად, რომ მაქვს ბედნიერება, მყოლოდა ასეთი ნათლია, ეს კავშირი, რომელიც სულიერია, დროისა და სივრცის მიღმაც გაგრძელდება“; „სევდაა ჩემს გულში, ტკივილი ირეკლება — სუფთა, გულწრფელი და ძალიან ნამდვილი“; „ჩემთვის უდიდესი პატივი და კურთხევა იყო, რომ პატრიარქის ნათლული ვარ“; „პატრიარქმა გვასწავლა სიკეთე, სიყვარული და რწმენა, ის ღირებულებები, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში გაგვყვება“; „მისი სიტყვები, ლოცვა და სითბო ყოველთვის დარჩება ჩემს გულში; მიჭირს დამშვიდობება, მაგრამ ვიცი, რომ მისი სული მუდამ ჩემთან იქნება და გვიკარნახებს სწორ გზას“.

არიან პატრიარქის ნათლულები, რომელთა ფესვებიც დედის მხრიდან თერჯოლაშია. 12 წლის მართა თოდრია ამბობს, რომ მისთვის პატივია იყოს პატრიარქის ნათლული, მისი ყოველი სიტყვა გულში აქვს აღბეჭდილი და მიიჩნევს, რომ უწმინდესი მისაბაძი პიროვნება იყო.

***

...ნიკოლოზ ხაჭაპურიძე, დემეტრე კუტივაძე, გაბრიელ ბუცხრიკიძე ჯერ პატარები არიან, დადგება დრო და ძალიან მალე, როცა გაიგებენ ნათლიაზე, რომელიც მიუწვდომელი სიმაღლე იყო...

ჟუჟუნა ცხადაძე

„ისტორია დაიწერა“

„მზეკაბანი 2007“-ის ფეხბურთელთა გუნდი სასკოლო ოლიმპიადის რეგიონული ტურნირის პრიზიორია

მიმდინარე წლის თებერვლის თვეში თერჯოლის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც ყველა რეგიონში, ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რაიონული ტური მინიფეხბურთში, რომელშიც საჯარო სკოლებთან ერთად კერძო სკოლა „მზეკაბანი 2007“-ი მონაწილეობდა. თამაშები ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობდა. ვაჟებს შორის რაიონის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა კერძო სკოლა „მზეკაბანი 2007“-ის გუნდმა (მწვრთნელები: ბადრი რობაქიძე და ფრიდონ გეწაძე).

12 მარტს კი უკვე სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალური ტური ჩატარდა. ქალაქ ზესტაფონის №4 საჯარო სკოლის სპორტულ მოედანზე, აქ ერთმანეთს დაუპირისპირდა იმერეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტის გამარჯვებული გუნდი. თერჯოლის რაიონის ღირსებას იცავდნენ „მზეკაბანის“ მოსწავლეები შემდეგი შემადგენლობით: მათე ბერუაშვილი—კაპიტანი, სანდრო ობოლაძე—მეკარე, მათე მუჯირი, ჯუბა არაბიძე—დაცვა, ლუკა და ლაშა ჭუმბურიძეები—თავდასხმა. მათ ერთ დღეში ითამაშეს 4 მატჩი, მათ შორის 3 მოიგეს (სამტრედია, ხარაგაული და წყალტუბო), სამივე თამაში დასრულდა ანგარიშით 2:1. საჩხერესთან ბიჭებმა ძირითადი დრო 1:1 დაასრულეს, თამაშის ბედი პენალტების სერიამ გადაწყვიტა 6:7, ასეთი იყო საბოლოო შედეგი.

მესამე ადგილისათვის წყალტუბოს გუნდს დაუპირისპირდნენ „მზეკაბანის“ ფეხბურთელები. ჩვენებმა აქაც იმარჯვეს და როგორც შეჯიბრების ორგანიზატორებმა აღნიშნეს: „ისტორია დაიწერა“, თერჯოლის მუნიციპალიტეტი პირველად გახდა ამ ოლიმპიადის პრიზიორი.

ტურნირს ჰყავდა ბომბარდირიც, მათ შორის ლაშა ჭუმბურიძე, მის ანგარიშზე 5 გოლია, სამი ძირითადი თამაშის და 2 პენალტების სერიაში.

„მზეკაბანელებს“, ამ საოცარ ბიჭებს მალე ისევ მოუწევთ ბრძოლა სასკოლო ლიგაზე, რომელიც ამ თვეში გაიმართება. იმედია ისინი კვლავ წარმატებით იასპარეზებენ.

თეთრი და შავი კვადრატის მათემატიკა—„მზეკაბანი 2007“-ში

თერჯოლაში კერძო სკოლა „მზეკაბანი 2007“-ის ერთ-ერთი გამორჩეული სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებაა, სადაც საფუძველი ეყრება ჩვენი რაიონის მომავალი თაობის მაღალი ხარისხის განათლებასა და ღირსეულ მოქალაქეებად ფორმირებას.

სკოლამ არსებობის 18 წლის მანძილზე თაობები „დააფრთიანა“, რომლებსაც აქ მიღებული ცოდნის დონე (რეპეტიტორების გარეშე) აძლევთ საშუალებას ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარონ და ჩაირიცხონ უპრობლემოდ და მაღალპროცენტიანი გრანტიც მოიპოვონ.

სკოლა გამოჩეულია აგრეთვე სხვადასხვა ინტელექტუალური, შემეცნებითი და სანახაობრივი გასართობი აქტივობებით.

მოსწავლეთა უფრო დაინტერესებისა და ამა თუ იმ საგნის მიმართ მეტი მიზიდულობის მიზნით ხშირად ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილებიც. სწორედ ასეთი გაკვეთილი სკოლაში გასული თვის ერთ თოვლიან დღეს ჩატარდა და ისეთი არაჩვეულებრივი გამოვიდა, შეიძლება ითქვას, ყველა დანარჩენი გადაწონა, რაც ბავშვებისა და მათი გამორჩეული სტუმრების ურთიერთობამ განაპირობა. ეს დღე არასოდეს დაავიწყდება სკოლის აღსაზრდელებს და არც პედაგოგებს.

მეორეკლასელებმა (დამრიგებელი ლონდა ტოფაძე) შეაჯამეს პროექტი: „თეთრი და შავი კვადრატის მათემატიკა“ და იმ დღეს ინტეგრირებული გაკვეთილი წარმოადგინეს (პედაგოგი ბადრი რობაქიძე, წრის ხელმძღვანელი მერი ჩაფიჩაძე).

გაკვეთილს ესწრებოდნენ საჭადრაკო ოლიმპიადის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი ქალბატონი ნანა იოსელიანი, ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, საერთაშორისო დიდოსტატი ჭადრაკში ბატონი გიორგი გიორგაძე მეუღლესთან ერთად, თერჯოლის რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე.

უამრავი საინტერესო აქტივობა, პატარების საოცარი, გულწრფელი და უშუალო ქმედებები გაკვეთილს ერთდროულად სანახაობრივსაც და შემეცნებითსაც ხდიდა. რაღა თქმა უნდა, ეს ყველაფერი პედაგოგებისა და მოსწავლეების უდიდესი შრომის შედეგად იქნა მიღწეული.

აზა მემანიშვილი, სკოლის დირექტორი: „მადლობა ჩვენს საპატიო, არაჩვეულებრივ სტუმრებს, რომლებმაც უამინდობის მიუხედავად პატარებს იმედები არ გაუცრუეს და მართლაც საოცარი და დაუვიწყარი წუთები აჩუქეს. ხუმრობა როდია ჭადრაკის სამუშაო რვეულზე გქონდეს ორი ბუმბერაზი ქართველი მოჭადრაკის ავტოგრაფი, ხელი ჩამოართვა მათ მეგობრულად, მერე მათთან ერთად ჭადრაკის რამდენიმე სვლა გაიკეთო, თავი მოიწონო და შექება დაიმსახურო?!

მადლობა ამ უშუალობისათვის ქალბატონო ნანა და ბატონო გიორგი! ეს იყო ყველაზე დიდი საჩუქარი მთელი სკოლისათვის...

ყველაზე დიდი წარმატება, რისთვისაც ცხოვრებაში მიგიღწევია, ესაა საზოგადოების უდიდესი ნაწილის სიყვარული, რომელსაც თუ არ იმსახურებ, ვერც ერთ საჭადრაკო დაფაზე ვერ მოიგებ, თქვენ კი ეს ნამდვილად უხვად გაქვთ მომადლებული“—მიმართა ქალბატონმა აზამ სტუმრებს.

შემდეგ კი მან მადლობა გადაუხადა „მზეკაბანელებს“, უკლებლივ ყველას, განსაკუთრებით კი მასწავლებლებს: ლონდა ტოფაძეს, ბადრი რობაქიძეს და მერი ჩაფიჩაძეს, მეორეკლასელ მოსწავლეებს და მათ მშობლებს!

„ბედნიერებაა, რომ მეც თქვენი ნაწილი ვარ!

ერთობლიობა და გვერდით დგომა რომ არა, ეს დღე ასეთი შთამბეჭდავი არ გამოვიდოდა“—მიმართა სიტყვით დასასრულს აუდიტორიას ქალბატონმა აზამ.

ლონდა ტოფაძე: „დღეს ჩემი პედაგოგიური საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე ემოციური და ამაღელვებელი დღე იყო...

მეორე კლასში ჩავატარეთ ინტეგრირებული ღია გაკვეთილი—„შავი და თეთრი კვადრატების მათემატიკა“, სადაც ერთმანეთს შეხვდა ორი საოცარი სამყარო: ჭადრაკი და მათემატიკა.

და იცით რა იყო ყველაზე განსაკუთრებული?

ჩვენს პატარა კლასში სტუმრად გვყავდა საჭადრაკო ოლიმპიადების მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი ქალბატონი ნანა იოსელიანი, ჭადრაკის ფედერაციის ვიცე პრეზიდენტი, საერთაშორისო დიდოსტატი ჭადრაკში ბატონი გიორგი გიორგაძე მეუღლესთან ერთად... პროექტის შეჯამებას აგრეთვე ესწრებოდა რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქალბატონი ქეთევან შეყრილაძე.

ბავშვების თვალებში ანთებული ცეცხლი, მათი ინტერესით სავსე მზერა, შეკითხვები, სითამამე დაფასთან გამოსვლისას—ეს იყო ნამდვილი გამარჯვება.

დღეს „თეთრი და შავი კვადრატები“ მხოლოდ დაფაზე არ იყო—ისინი ბავშვების აზროვნებაში ცოცხლობდა, თითოეულ ამოცანაში, თითოეულ სვლაში, თითოეულ გათვლაში იგრძნობოდა ლოგიკა, ფიქრი, სტრატეგია.

როდესაც ქალბატონი ნანა იოსელიანი ჩვენს პატარებს ესაუბრებოდა, ვუყურებდი მათ და ვფიქრობდი— ოცნებას ხომ სწორედ ასე ესხმება ფრთები...

როდესაც ბატონი გიორგი მათ სვლებს აფასებდა და აქებდა, ვგრძნობდი როგორ იზრდებოდა თითოეული მათგანი იმ წამს.

დღეს დავრწმუნდი, რომ ინტეგრირებული სწავლა უბრალოდ მეთოდი არ არის—ეს არის გზა, რომელსაც ბავშვები აზროვნების თავისუფლებამდე მიჰყავს.

მზია ცქიფურიშვილი

სააღდგომო ტრადიციები...

სრულიად საქართველოს ყველა კუთხეში ბევრი სააღდგომო ტრადიციული წესი და რიტუალია, რომლებიც ორგანულადაა შერწყმული მართლმადიდებლურ ქრისტიანულ წესებსა და ხალხურობას.

ჭონა და ალილო

სააღდგომო ტრადიციებს შორის გამორჩეული რიტუალი იყო ჭონა (ალილო), რომელიც დღესაც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში სრულდება. აღდგომა დღეს რამდენიმე კაცი მთელ სოფელს ჩამოუვლიდა და სააღდგომო სიმღერით - საგალობლით დღესასწაულს ულოცავდა მოსახლეობას. როდესაც მახარობლები სიმღერას დაამთავრებდნენ, სახლის ბანიდან ან აივნიდან თოკით კალათას ჩაუშვებდნენ, სადაც დიასახლისი მათ ტკბილეულით, ხილითა და ფულითაც კი ასაჩუქრებდა.

სადღესასწაულო სუფრა

სააღდგომო სადღესასწაულო სუფრას ამშვენებდა სააღდგომო ბატკანი, მშრალად მოხარშული ღორის ხორცი, შოთის პური, ყველი, მწვანილი, ხილი, წითელი ღვინო და, რაც მთავარია, წითელი კვერცხი. მიუხედავად იმისა, რომ დღეს უამრავი სახის ფხვნილი არსებობს კვერცხის შესაღებად, ყველაზე ნაცად საშუალებად ენდრო და ხახვის ფურცელი რჩება. სააღდგომო სუფრის მშვენებაა პასკა. ქრისტიანები მას ოდითგანვე მაცხოვრის აღდგომის რწმენის ნიშნად აცხობდნენ. სააღდგომო პასკაში აუცილებლად უნდა იყოს ბევრი ქიშმიში და სპეციალური სანელებლები.

ჭიაკოკონა

მართალია, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში დღემდე შემორჩა ჭიაკოკონას ტრადიცია, რომელიც ვნების კვირაში, ოთხშაბათ დღეს ეწყობა და ცეცხლით განწმენდას, კუდიანების, ავი სულების განდევნას ემსახურება, მაგრამ სინამდვილეში, მსგავსი რიტუალი მხოლოდ ცეცხლთაყვანისმცემლობას (იგივე მაზდეანობას) მიეკუთვნება და არაფერი აქვს საერთო ქრისტიანობასთან. სწორედ მაზდეანებისათვის იყო ცეცხლი ღვთაება, ადამიანი კი, მხოლოდ ცოდვილი, რომელიც კოცონზე გადახტომით ასრულებდა ცეცხლით განწმენდის რიტუალს ღმერთის წყალობის მოსაპოვებლად.

სხვადასხვა კუთხის ტრადიციები

რაჭაში აღდგომის დილას, ლოცვის შემდეგ, ხორბლის ფაფა იხარშებოდა, თონეში ლავაშებს აცხობდნენ, აღდგომის მეორე დღეს კი „გიორგონთობას“ ზეიმობდნენ. საინტერესო რიტუალი ჰქონდათ სამეგრელოში. აღდგომა დღეს ქვევრის თავზე ბატკანს ან გოჭს კლავდნენ. აცხობდნენ ყველისა და კვერცხის კვერებს. კახეთში სააღდგომოდ ბატკანს კლავდნენ.

საინგილოში ამ დღესასწაულისთვის ინგილოები ვნების პარასკევიდან ემზადებოდნენ. აღდგომას წითელი კვერცხებითა და საჭმელსასმელით მამაკაცები სასაფლაოზე გადიოდნენ, უვლიდნენ საფლავებს, შემდეგ სახლში ბრუნდებოდნენ. დილით ყველა ახალი ტანისამოსით იმოსებოდა, თავს იყრიდნენ სახლის აღმოსავლეთ ნაწილში და სანთლებს ანთებდნენ.

გურიის რეგიონში სააღდგომოდ გულმოდგინედ ემზადებოდნენ. კერავდნენ ახალ სამოსს, აგრეთვე, სხვადასხვა ფერისა და ზომის ტყავის ბურთს. შაბათ საღამოს დაასუფთავებდნენ სახლს და სააღდგომო კერძებს ამზადებდნენ. შუაღამისას ეკლესიაში მიდიოდნენ, წირვის დასრულების შემდეგ კი სასაფლაოზე გადიოდნენ, სადაც მღვდელი ტაბლებს აკურთხებდა.

სააღდგომო ტრადიციებით გამორჩეული იყო სვანეთი. შუაღამისას მთელი მოსახლეობა ეკლესიაში წირვას ესწრებოდა, დილით კი სასაფლაოზე ტაბლებზე სანთლებს ანთებდნენ, სრულდებოდა საგალობლები. ძველად სააღდგომო ზეიმი მთელი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა და კვირაცხოვლობის დღესასწაულით მთავრდებოდა. კვირაცხოვლობის დღესასწაულისთვის სვანები განსაკუთრებულად ემზადებოდნენ. ყველა სოფელი თითო საუკეთესო ბუღას გამოარჩევდა და საზეიმო წირვის დასრულების შემდეგ სოფლის მოედანზე ბუღების ჭიდილი იმართებოდა. ეს ტრადიცია დღესაც ცოცხალია ისტორიულ ტაო-კლარჯეთში და თანამედროვე ართვინის ვილაიეთში.

ჯეჯილი - სიცოცხლის სიმბოლო

სააღდგომოდ ტრადიციულია ჯეჯილის დათესვაც, რაც სათავეს იღებს ძველი ქრისტიანული წესჩვეულებებიდან და საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული. მორწმუნეები ხორბალს თეფშებზე ან თასებზე ბზობის კვირას აღვივებენ. სააღდგომოდ აბიბინებულ მწვანე ბალახზე გაგორებული წითელი კვერცხი მაცხოვრის მიერ სიკვდილის ძლევას გამოხატავს.

აღდგომის მეორე დღეს, ორშაბათს, მთელ საქართველოში საფლავებზე გასვლა, გარდაცვლილების მოხსენიება და საფლავზე კვერცხის გაგორებაა მიღებული. ზოგს სახლში თავისი ხელით მოყვანილი ჯეჯილიც მიაქვს.

აღდგომა საეკლესიო კალენდრის მიხედვით მოძრავია, მაგრამ ყოველთვის გაზაფხულს—განახლებისა და სიცოცხლის იმედს უკავშირდება, ამიტომ ეს დღე ყველასთვის განსაკუთრებული და გამორჩეულია.

ბზობა

აღდგომის დღესასწაულს წინ ბზობა უსწრებს, რომელიც იერუსალიმში იესო ქრისტეს დიდებით შებრძანებას განასახიერებს, როცა ადგილობრივი მოსახლეობა პალმის რტოებითა და „ოსანას“ შეძახილით შეეგება მაცხოვარს. საქართველოში სწორედ ბზა ითვლება პალმის რტოს სიმბოლოდ, რომელიც ეკლესიაში იკურთხება და მთელი წლის მანძილზე - შემდეგ ბზობამდე ინახება ყველა მართლმადიდებლის ოჯახში.

ხარება

7 აპრილს, მართლმადიდებელი ქრისტიანები თორმეტთაგან ერთ-ერთ საუფლო დღესასწაულს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარებას აღნიშნავენ. სახარების მიხედვით, სწორედ ამ დღეს ახარა გაბრიელ მთავარანგელოზმა ქალწულ მარიამს, რომ ის მესიას - იესო ქრისტეს შობდა. ხარება კაცობრიობის ხსნის დასაწყისი და დაფარული ღვთის საიდუმლოს გამოცხადების დღესასწაულია.

პატარა ქალაქ ნაზარეთში ცხოვრობდა მოკრძალებული ქალწული, მარიამი, რომელსაც უფალი წმინდა გულით უყვარდა. ერთხელ მას გამოეცხადა უფლისაგან გამოგზავნილი მთავარანგელოზი გაბრიელი და უთხრა: „გიხაროდეს! მომადლებულო, შენთანაა უფალი. კურთხეული ხარ დედათა შორის“. მარიამი შეკრთა, მაგრამ ანგელოზმა დაამშვიდა: „ნუ გეშინია, მარიამ, რადგან ღვთის მადლი იპოვე. დაორსულდები, გაგიჩნდება ვაჟი და სახელად იესოს დაარქმევ. ის იქნება დიდი პიროვნება და ღმერთის ძე ეწოდება. მისცემს მას უფალი მამამისის, დავითის, ტახტს და ქვეყნის აღსასრულამდე იმეფებს იგი იაკობის სახელზე, არ ექნება დასასრული მის მეფობას“.

წითელი კვერცხი

დღესასწაულის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლო - წითლად შეღებილი კვერცხია, რადგან წითელი ფერი - ქრისტეს სისხლს და მსხვერპლშეწირვას, კვერცხი კი, ახალ სიცოცხლეს, ცოდვებისგან გათავისუფლებას და სულიერ აღორძინებას განასახიერებს. გადმოცემის თანახმად, ამაღლებამდე იესო ქრისტემ სხვადასხვა მხარეს გაგზავნა მოწაფეები, რათა ყველა სულიერისთვის ეხარებინათ მისი აღდგომა. ქადაგებისთვის გაეშურა მარიამ მაგდალინელიც, რომელმაც ღვთისმშობლის შემდეგ პირველმა იხილა მკვდრეთით აღმდგარი იესო. წმინდა მარიამი რომში, იმპერატორ ტიბერიუსს ეწვია, საჩუქრად კვერცხი მიართვა და ახარა: „ქრისტე აღდგა!“ იმპერატორმა ეჭვით შეათვალიერა კვერცხი და შენიშნა: „ისე ვერ აღსდგეს მკვდარი, როგორც ეს კვერცხი ვერ გაწითლდესო“, თუმცა სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ კვერცხმა ფერი იცვალა და მართლაც გაწითლდა. სწორედ ამგვარი საოცრების აღსანიშნად ღებავენ ქრისტიანები სააღდგომო კვერცხს წითლად და სიტყვებით: „ქრისტე აღდგა! - ჭეშმარიტად აღდგა!“ მთელი 40 დღე ულოცავენ ერთმანეთს ბრწყინვალე დღესასწაულს.

სააღდგომო პასკა - გოლგოთას მთის განსახიერება

უძველესი ისტორია აქვს აღდგომის კიდევ ერთ მთავარ სიმბოლოს - პასკას. პასექის დღესასწაულზე ებრაელები ხმიადებს - უსაფუვრო პურებს აცხობდნენ. სწორედ ხმიადი იყო საიდუმლო სერობაზეც, როცა აღდგომის შემდეგ იესო ქრისტე ტრაპეზის დროს გამოეცხადა მოსწავლეებს, მადლი შესწირა, პური გატეხა, ყველას სათითაოდ ჩამოურიგა და უთხრა: „მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი თქუენთვის მიცემული, ამას ჰყოფდით მოსახსენებლად ჩემდა“.

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75
მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
ანგარიში
8 2633 7499
ს/კ 231948872